ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

ორშაბათი, 16 ნოემბერი, 2015 №269 (6889) ფასი: 50 თეთრი

## ევროპის პლეი ოფი: საპასუხო მატჩების წინ

სტატისტიკა, ფსონები

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 16.11 | ირლანდია – ბოსნია | 2.35 | 3.0 | 3.25 |
| 17.11 | დანია – შვედეთი | 2.3 | 3.2 | 2.87 |
| 17.11 | სლოვენია – უკრაინა | 2.5 | 3.2 | 2.6 |



გვ.9

# სისხლიანი თავდასხმა პარიზზე

## 8 თვითმკვლელმა ტერორისტმა საფრანგეთი შოკში ჩააგდო



© GoffPhotos.com

გვ.2






## „გურჯისტანის ვილაიეთი დიდ პრობლემებს შეგვიქმნის“

ზაალ კასრელიშვილი: „ისლამური სახელმწიფო ლაფანყურის საქმის მიჩქმალვაზე მოგვთხოვს პასუხს“

გვ.4

## პაატა ბურჭულაძე თუ ბიძინა ივანიშვილი?

გვ.5



## დავით დარჩიაშვილი: „რესპუბლიკელების საქმე არ არის, ვინ იქნება ნაცმოძრაობის ლიდერი!“

გვ.7

## მამუკა არეშიძე: „საფრანგეთი საექსპერიმენტო ლაბორატორიად აქციეს“



გვ.3

ISSN 1987-9385




ციფრული მაუწყებლობის სააგენტო

ციფრული მაუწყებლობის რეფორმა წარმატებით დასრულდა


გვ.6

# სისხლიანი თავდასხმა პარიზზე

## 8 თვითმკვლელმა ტერორისტმა საფრანგეთი შოკში ჩააგდო

**13 ნოემბერს, ღამით, პარიზზე უპრეცედენტო ტერორისტული შეტევა განხორციელდა.**

**პარიზის სხვადასხვა ადგილზე შეიარაღებული პირები თავს დაესხნენ რესტორნებს, საკონცერტო დარბაზსა და სპორტულ სტადიონს.**

**ყველაზე ძლიერი თავდასხმა თეატრ ბატაკლანზე განხორციელდა, სადაც ამერიკული როკანსამბლის, დეფტოუნზის, კონცერტი მიმდინარეობდა.**


პრეზიდენტს თავდასხმის შესახებ ატყობინებენ



ვოლტერის ბულვარზე მდებარე თეატრში შეიარაღებული პირები კონცერტის დასასრულს შეიჭრნენ.

მათ მძევლები აიყვანეს. თვითმხილველები იტყობინებიან, რომ თეატრში მყოფები ტერორისტების დანახვისას ძირს დაწვნენ და თავდამსხმელები მათ დაახლოებით 15 წუთის განმავლობაში ესროდნენ.

— ეს იყო სისხლისღვრა, — თქვა სიენენთან საუბარში ერთმა ჟურნალისტმა, რომელიც თავდასხმის დროს თეატრში იმყოფებოდა.

ყველაზე მეტი, დაახლოებით 100 ადამიანი, სწორედ იქ დაიღუპა. მაყურებლების ნაწილმა გაქცევა მოახერხა.

მას შემდეგ, რაც თავდამსხმელებმა განაცხადეს, რომ მოლაპარაკებები არ სურთ, ფრანგულმა სპეცრაზმმა თეატრის შტურმი გადაწყვიტა. შტურმის შედეგად თავდამსხმელები მოკლეს, მძევლები კი გაათავისუფლეს.

თვითმხილველები ამბობენ, რომ ტერორისტები სირიასა და ერაყზე საუბრობდნენ.

თავდამსხმელები ფრანგულად ლაპარაკობდნენ. თვითმხილველები აცხადებენ, რომ ისინი თეატრში შეჭრისას ალაჰ აქბარს ყვიროდნენ.

ფრანგულ გამოცემა ლე მონდის ჟურნალისტმა დანიელ ფსენიმ მოგვიანებით შოკისმომგვრელი ვიდეოკადრები გაავრცელა. ჟურნალისტმა ვიდეომასალა საკუთარი ბინიდან გადაიღო, რომელიც თეატრ ბატაკლანის მოპირდაპირე მხარეს მდებარეობს. ვიდეოკადრებში სროლის ხმა და ადამიანების ყვირილი ისმის. კადრებში დაჭრილი ადამიანები ჩანან.


სილვესტერი მობილურმა ტელეფონმა სიკვდილს გადაარჩინა

გავრცელდა ინფორმაცია, რომ ბატაკლანზე თავდამსხმელთა შორის ქალიც იყო.

ამის შესახებ ფრანგული რადიოსადგური ევროპა 1 თვითმხილველებზე დაყრდნობით იტყობინება.

მათი ინფორმაციით, ბატაკლანის თეატრში 3 პირი შეიჭრა, აქედან 2 მამაკაცი, მესამე კი ქალი იყო.

თავად დეფტოუნზის მუსიკოსებმა თეატრი თავდასხმამდე 15 წუთით ადრე დატოვეს. ისინი არ დაზარალებულან.

დეფტოუნზს ბატაკლანში კონცერტები 14 და 15 ნოემბერსაც უნდა გაემართა. კონცერტები, ცხადია, გაუქმდა.

ამერიკულ ანსამბლს მორიგი კონცერტები 18 ნოემბერს — ბერლინში, 19-ში — კიოლნში, ხოლო 21 ნოემბერს ლონდონის უემბლის სტადიონზე აქვს დაგეგმილი.

სავარაუდოდ, ისინიც გადაიდება, თუმცა ამის შესახებ გადაწყვეტილება ჯერ არ არის მიღებული.

◆ ◆ ◆

13 ნოემბერს შეტევები სტად დე ფრანსის სიახლოვესაც განხორციელდა, სადაც საფრანგეთის ნაკრებმა გერმანია ამხანაგურ მატჩში 2:0 დაამარცხა.

შეხვედრას საფრანგეთის პრეზიდენტი ფრანსუა ოლანდი და გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი ფრანკ ვალტერ შტაინმაიერი ესწრებოდნენ.

მატჩის მიმდინარეობისას სამმა თვითმკვლელმა ტერორისტმა სტადიონის სიახლოვეს თავი აიფეთქა.

ერთ-ერთ მათგანს სირიის პასპორტი ჰქონდა. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი სამართალდამცველებმა ტერორისტის ცხედრის შემოწმების დროს აღმოაჩინეს.

აფეთქების ხმა მატჩის 72-ე წუთზე გაისმა.

დირექციამ სწორ გამოსავალს მიაგნო. სტადიონზე გამოაცხადეს, რომ სახანძრო უსაფრთხოების ნორმები დაირღვა, რის გამოც აღმოსავლეთ ტრიბუნაზე მყოფი გულშემატკივრების ევაკუაცია დაიწყეს. უწინარეს ყოვლისა, სტადიონიდან შტაინმაიერი გაიყვანეს. ოლანდმა სიმშვიდე და თავდაჭერილობა გამოავლინა. ის ადგილიდან არ დაძრულა, მითითებებსაც მშვიდად იძლეოდა. ამის შემხედვარე გულშემატკივრებმაც დაიჯერეს, რომ არაფერი სერიოზული არ ხდებოდა. პანიკაც არ დაიწყო.

მატჩი ბოლომდე გაგრძელდა.

საინტერესოა, რომ სტადიონიდან ევაკუაციის დროს ფეხბურთის გულშემატკივრები საფრანგეთის ჰიმნს მღეროდნენ.

საფრანგეთის ერთი მოქალაქე, სილვესტერი, მობილურმა ტელეფონმა სიკვდილს გადაარჩინა.

სწორედ მაშინ, როდესაც ერთ-ერთმა ტერორისტმა სტად დე ფრანსთან თავი აიფეთქა, სილვესტერი რამდენიმე მეტრის მოშორებით იდგა და ტელეფონზე საუბრობდა. აფეთქების შემდეგ მის მობილურს მსკდომი საარტილერიო ჭურვის მიერ გატყორცნილი ტყვია — შრაპნელი მოხვდა.

მობილურმა სილვესტერი სიკვდილს გადაარჩინა.

◆ ◆ ◆

კიდევ რამდენიმე თავდასხმა სენის მარჯვენა სანაპიროზე მდებარე რამდენიმე ქუჩაზე მოხდა, სადაც შეიარაღებულმა მამაკაცებმა რესტორნებში მყოფ ადამიანებს ცეცხლი გაუხსნეს.

ტერორისტებმა ცეცხლი გაუხსნეს კაფე პტი კამბოჟას. შედეგად მოკლულია 19 მშვიდობიანი მოქალაქე. პიცერია ლა კასა ნოსტრაზე თავდასხმისას მოკლულია 5 ადამიანი. კაფე ლა ბელ ეკიპზე თავდასხმას 20 ადამიანი შეეწირა.

◆ ◆ ◆

ოფიციალური ინფორმაციით, საფრანგეთში მომხდარი ტერორისტული შეტევის შედეგად 129 ადამიანი დაიღუპა და 200-ზე მეტი დაშავდა. 99 დაშავებულის მდგომარეობა კრიტიკულად მძიმეა მოკლულია 8 ტერორისტი. აქედან 7-მა თავი აიფეთქა.

◆ ◆ ◆

პარიზში გლოვის ნიშნად ეიფელის კოშკის განათება გათიშეს. სოლიდარობის ნიშნად სხვადასხვა ქვეყანაში ცნობილი არქიტექტურული ძეგლები და ნაგებობები საფრანგეთის დროშის ფერებში გაანათეს, მათ შორის იესო ქრისტეს ქანდაკება რიო-დე-ჟანეიროში, ლონდონის უემბლის სტადიონი, ნიუ იორკში, მსოფლიო სავაჭრო ცენტრის ადგილზე აშენებული ცათამბჯენი, ლონდონის ტრაფალგარის მოედანი და სხვა.

„მე ვარ პარიზი", „ილოცე პარიზისთვის" — ასეთი შინაარსის ლოზუნგები სოციალური ქსელებით გავრცელდა.

13 ნოემბრის მთელი ღამის განმავლობაში ტაქსის მძღოლები პარიზელებს მომსახურებას უფასოდ სთავაზობდნენ, მოხალისეებმა კი თავშესაფარი ყველა იმ ადამიანს შესთავაზეს, რომლებიც ტერაქტების გამო სახლში ვერ მოხვდნენ.

◆ ◆ ◆

პარიზის პროკურატურამ ტერაქტების შემდეგ სისხლის სამართლის საქმე „ტერორიზმთან დაკავშირებული მკვლელობის" მუხლით აღძრა.

ამის შესახებ პარიზის პროკურორმა ფრანსუა მოლენსმა განაცხადა. მისი თქმით, გამოძიება 6 შემთხვევასთან დაკავშირებით ტარდება.

საფრანგეთის პრეზიდენტ ფრანსუა ოლანდის განცხადებით, საფრანგეთი თავდასხმისთვის პასუხისმგებელი პირების მიმართ უმოწყალო იქნება.

უშიშროების საბჭოს საგანგებო სხდომის შემდეგ მან თქვა, რომ ტერაქტები ისლამური სახელმწიფოს მიერ იყო ორგანიზებული.

— ეს არის ომის აქტი. ამ თავდასხმის უკან ტერორისტული არმია, ისლამური სახელმწიფო, ჯიჰადისტები დგანან, რომლებიც საფრანგეთისა და იმ ფასეულობების წინააღმდეგ გამოდიან, რომელთაც მთელ მსოფლიოში ვიცავთ, — განაცხადა ოლანდმა.

საფრანგეთის პრეზიდენტმა ქვეყანაში სამდღიანი გლოვა გამოაცხადა.


ჯგუფი დეფტოუნზი

19 ნოემბრამდე დემონსტრაციებისა და მასობრივი შეკრებების გამართვა აიკრძალა. როგორც პარიზის პოლიციაში განაცხადეს, გადაწყვეტილება იმის გამო მიიღეს, რომ სამართალდამცველები უსაფრთხოებას ვერ უზრუნველყოფენ.

ტერაქტების გამო საფრანგეთში უსაფრთხოების ზომები გააძლიერეს. პარიზში სამხედროები პატრულირებენ, მობილიზებულია ჯარი და პოლიცია, დაწესდა სასაზღვრო კონტროლი.

◆ ◆ ◆

ისლამურმა სახელმწიფომ პარიზში განხორციელებულ ტერაქტებზე პასუხისმგებლობა აიღო. 14 ნოემბერს დაჯგუფებამ ოფიციალური განცხადება გაავრცელა, სადაც ნათქვამია, რომ თავდასხმების მიზანი საფრანგეთისთვის იმის დემონსტრირება იყო, რომ ის კვლავ რჩება მთავარ სამიზნედ.

ისლამური სახელმწიფოს ცნობით, თავდასხმების განხორციელებამდე მებრძოლებმა თავდასხმის ადგილები შეისწავლეს. ტერაქტები კი 8 ისლამისტმა განახორციელა, რომლებიც ე.წ. შაჰიდის ქამრებითა და შაშხანებით იყვნენ შეიარაღებულნი.

ისლამურმა სახელმწიფომ ვიდეორგოლიც გაავრცელა, სადაც საფრანგეთს თავდასხმებით დაემუქრა, თუკი ის დაჯგუფების მებრძოლების წინააღმდეგ მიმართულ დაბომბვებს არ შეწყვეტს.

ვიდეორგოლი, რომელიც დათარიღებული არ არის, ისლამური სახელმწიფოს მედიაცენტრმა ალ-ჰაიათმა გაავრცელა.

ვიდეორგოლში ისლამისტი მებრძოლი მოუწოდებს საფრანგეთში მცხოვრებ მუსლიმებს, თავდასხმები განახორციელონ.

— სანამ დაბომბვებს გააგრძელებთ, მშვიდად ვერ იცხოვრებთ, ბაზარში გასვლისაც კი შეგეშინდებათ, — აცხადებს მებრძოლი.

ისლამურმა სახელმწიფომ რუსულენოვანი აუდიო და ტექსტობრივი მასალაც გაავრცელა, რომელსაც ასეთი სათაური აქვს: „ოფიციალური განმარტება კურთხეული თავდასხმის შესახებ ჯვაროსნულ საფრანგეთზე".

განცხადების თანახმად, მორწმუნეებმა სახალიფოს მეომართა რიგებიდან მრუშობისა და სიბილწის დედაქალაქ პარიზზე ილაშქრეს, რომელიც ევროპაში ჯვაროსნების დროშის მატარებელია.

— 8 ძმა ასაფეთქებელი ქამრებითა და ავტომატებით მივიდა იმ ადგილებში, რომელიც დედაქალაქის გულში წინასწარ გულდასმით შეირჩა. ამ ადგილებს შორის სტადიონი სტად დე ფრანსია, სადაც იმ მომენტში გერმანიასა და საფრანგეთის მატჩი მიმდინარეობდა და რომელსაც ფრანგი იდიოტი ფრანსუა ოლანდი ესწრებოდა, ასევე თავდასხმა განხორციელდა ბატაკლანის საკონცერტო დარბაზზე, სადაც ათასობით წარმართი მრუშობის დღესასწაულზე შეიკრიბა. ამავდროულად, განხორციელდა თავდასხმები სხვა სამიზნეებზე ქალაქის მე-10, მე-11 და მე-

გაგრძელება მე-3 გვერდზე

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# მამუკა არეშიძე: „საფრანგეთი საექსპერიმენტო ლაბორატორიად აქციეს“

ნონა ცაბაძე

**პარიზულ ტრაგედიაზე საუბრისას ექსპერტი მამუკა არეშიძე ფიქრობს, რომ ტერორისტებმა საფრანგეთი სამიზნედ რამდენიმე მიზეზის გამო აირჩიეს.**

– საფრანგეთში უნდა გამართულიყო თავყრილობა სირიის საკითხებთან დაკავშირებით და გაიმართა კიდეც. ასევე მნიშვნელოვანი ღონისძიება იყო დანიშნული, ორი უდიდესი სახელმწიფოს ფეხბურთის ნაკრებების მატჩი – გერმანიისა და საფრანგეთის. გარდა ამისა, საფრანგეთი ერთ-ერთი სუსტი რგოლია იმ ჯაჭვში, რომელსაც ევროპის უსაფრთხოების სისტემა ჰქვია, – ამბობს ექსპერტი.

***– სუსტი – უსაფრთხოების თვალსაზრისით?***

– დიახ, უსაფრთხოების თვალსაზრისით. საფრანგეთის პოლიტიკა, გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან მოყოლებული, პოლიტიკა, რომელიც ეხება ემიგრანტებისა და ემიგრაციის საკითხს, ქვეყნისთვის წამგებიანია.

***– რას გულისხმობთ?***

– ამ პოლიტიკამ გააჩინა და გააძლიერა ისეთი ნაციონალისტური ორგანიზაცია, როგორიც არის ლე პენის პარტია. სწორედ ამ პოლიტიკის საპასუხოა ის, რაც იწვევს ლე პენის გაძლიერებას. ამ პოლიტიკას ევროპელი პოლიტიკოსები აფასებენ, როგორც ტოლერანტობას. სინამდვილეში ეს ყველაფერი არის ფსევდო.

***– რატომ ფსევდო?***

– საკუთარი ქვეყნის საზიანოდ როცა აკეთებ ასეთ რაღაცას, ის აუცილებლად ბუმერანგივით დაგიბრუნდება უკან! პრაქტიკულად, საფრანგეთი აქციეს საექსპერიმენტო ლაბორატორიად! იქ ცხოვრობს უამრავი სხვადასხვა რჯულის ადამიანი, კარი ყველასთვის ღიაა და ყველა ითვლება ფრანგად. ამ ადამიანების დიდი ნაწილი თავს თვლის ფრანგად მხოლოდ სოციალური დაცვის თვალსაზრისით. პოლიტიკური პასუხისმგებლობის თვალსაზრისით კი მათთვის საფრანგეთის სახელმწიფო არაფერი არ არის.

ექსპერტი მიიჩნევს, რომ მათთვის უფრო მნიშვნელოვანია ის იდეალები, რომლებთანაც ნაზიარები არიან ადრე და რომლებიც მათთვის ტრადიციულია.

***– პოლიტიკური ისლამი ამ სიტუაციას გადასარევად ირგებს.***

– რომელ სიტუაციას?

***– უმუშევრობა, ინტეგრაციის დაბალი დონე. ეს არის პოლიტიკური ისლამისთვის ნოყიერი ნიადაგი.***

მამუკა არეშიძის აზრით, პარიზში ასეთი თავდასხმა იმიტომ განხორციელდა, რომ იცოდნენ, მას დიდი რეზონანსი მოჰყვებოდა.

– თორემ გაცილებით რთული მდგომარეობაა საბერძნეთში, მაგრამ კაციშვილს არ მოუვა თავში აზრად, რომ იქ ტერაქტი მოაწყოს.

***– რატომ?***

– იმიტომ, რომ მსოფლიოს არ ექნება ასეთი მწვავე რეაქცია. ასეთი ტერაქტები ხდება კვირაში ერთხელ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში. ცოტა ხნის წინ ამაზე უფრო მასშტაბური ტერაქტი მოხდა ინდონეზიაში, პაკისტანში, მაგრამ ამას არავინ ყურადღებას არ აქცევს.

***– რატომ?***

– იმიტომ, რომ ცივილიზებული სამყარო ჩაკეტილია თავის თავში.

მამუკა არეშიძის თქმით, ისლამური ფუნდამენტალიზმი, პოლიტიკური ისლამი არის იდეოლოგია და არა – მხოლოდ ტერორისტი იარაღით ხელში.



***– რთულია ბრძოლა მის წინააღმდეგ?***

– რთულია, მაგრამ შესაძლებელია ამის გარკვეულ ჩარჩოში მოქცევა.

***– როგორ?***

– საფრანგეთის სპეცსამსახურები ხშირად ჩიოდნენ იმის თაობაზე, რომ ქვეყნის პოლიტიკური ხელმძღვანელობა ფსევდოევროპულ ფასეულობებზე დაყრდნობით მათ მუშაობას ზღუდავს.

***– და რატომ იზღუდებიან?***

– იმიტომ, რომ ადამიანის უფლებები ირღვევა, იმიტომ, რომ ტოლერანტობის პრინციპი ირღვევა, იმიტომ, რომ მულტიკულტურულობის პრინციპი ირღვევა ვითომ და ასე შემდეგ! შედეგი კი არის ასეთი, ხოლო ასეთ არასწორ პოლიტიკას მივყავართ იქითკენ, რომ ძლიერდებიან ნაციონალისტური ორგანიზაციები.

***– რამდენად არის შესაძლებელი, აღნიშნული საფრთხე ჩვენს ქვეყანასაც დაემუქროს?***

– საქართველო არის კავკასიური ვალაიეთის ზონა. ასეთი საპატიო ტიტული გვაქვს მონიჭებული ისლამური ხალიფატის მხრიდან.

***– ანუ?***

– საქართველოს მოქალაქეები სამხედრო ოპერაციებში მონაწილეობენ. საქართველოს მოქალაქეები ისლამისტურ იდეოლოგიურ ცენტრებში გადიან მომზადებას. დღეს საქართველო არ არის უშუალოდ სამხედრო აგრესიის ობიექტი, მაგრამ იდეოლოგიური აგრესიის სუბიექტი უკვე არის.

ექსპერტის თქმით, ისლამური ხალიფატის რიგები სავსეა კავკასიელებით, რომელთა შორის დიდი რაოდენობით არის რუსული სპეცსამსახურების აგენტურა.

***– ჩვენ არ ვიცით, ისინი რა დავალებას მიიღებენ ერთ მშვენიერ დღეს, – აცხადებს არეშიძე და მიიჩნევს, რომ ხიფათი არის მრავალსახოვანი და ის ვერ ხედავს, რომ ქართულ სახელმწიფოს გათავისებული ჰქონდეს ეს საფრთხეები.***

ექსპერტი ვერც მომზადების მაღალ ხარისხს ხედავს.

***– სპეცსამსახურებს პროფესიონალიზმს უწუნებთ?***

– მე არ ვუწუნებ პროფესიონალიზმს ქართულ სპეცსამსახურებს, მაგრამ ქართული სპეცსამსახურები მოკლებული არიან პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს ამ სახეობის მტერთან ბრძოლისას, რასაც ჰქვია პოლიტიკური ისლამი, რადგან მასთან შეხება არ ჰქონიათ.

# ევკუროვი: „ინგუშეთში არეულობას არ დავუშვებთ!“

## საქართველოს საზღვრებთან ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ დამატებით ზომებს იღებენ

მარიამ მჭედლიშვილი



პარიზში ისლამური სახელმწიფოს მიერ მოწყობილმა ტერორისტულმა აქტებმა ახალი პრობლემები გააჩინა. კავკასიაში გაიხსენეს, რომ ამ დაჯგუფებას აქ თავისი ვილაიეთი აქვს გახსნილი.

ხალიფატის კავკასიური ფილიალი მას შემდეგ ჩამოყალიბდა, რაც ჩრდილოკავკასიელი მებრძოლების ნაწილმა ხალიფატს ერთგულება შეჰფიცა, ისლამურმა სახელმწიფომ კი ეს ფიცი მიიღო.

ივნისიდან არის საუბარი იმაზე, რომ ისლამური სახელმწიფო ანაცვლებს კავკასიაში მოქმედ სხვა ტერორისტულ დაჯგუფებას – იმარატ კავკასიას.

თუმცა, არავინ ამტკიცებს, რომ იმარატ კავკასია გაუქმდა. გავრცელებული ინფორმაციით, რეგიონში ორივე ორგანიზაცია მოქმედებს. გარდა ამისა, მთელი რიგი ტერორისტული დაჯგუფებები, მეტ-ნაკლებად, ავტონომიურია. ბევრი მებრძოლი საბრძოლველად სირიაშია წასული.

პარიზში მომხდარი ტერორისტული აქტების შემდეგ უსაფრთხოების ზომების გაძლიერებაზე ალაპარაკდა ინგუშეთის ლიდერი იუნუს-ბეკ ევკუროვი.

– უნდა მივიღოთ ზომები, რათა არ დავუშვათ დივერსიულ-ტერორისტული გამოხდომები და ვითარების დესტაბილიზაცია რესპუბლიკაში, – განაცხადა მან.

ინგუშეთის ლიდერმა გასცა განკარგულება, რომ ინგუშეთის ყველა ქალაქსა და რაიონში ჩატარდეს სხდომები. მისი ინიციატივით პოლიციელებს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში სახალხო რაზმელები უნდა დაეხმარონ.

ცოტა ხნის წინ ინგუშეთის ლიდერმა საზოგადოებას სირიაში წასული ინგუშების სტატისტიკაც გააცნო: სირიაში სულ 30 ახალგაზრდა წავიდა, აქედან 17 დაიღუპა, 6 კი ინგუშეთში დაბრუნდა. დაბრუნებულებმა სამართალდამცავ ორგანოებს მიაკითხეს.

როგორც ჩანს, გამოსწორებულებს ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებში არ სჯიან. ამაზე ჩეჩნეთის რესპუბლიკის ხელმძღვანელი რამზან კადიროვიც აკეთებს განცხადებებს. მისი ინფორმაციით, სირიიდან ჩეჩნეთში დაბრუნებულებმა გაიარეს ადაპტაცია, ახლა მშვიდობიან ცხოვრებას ეწევიან და ტერორიზმთან ბრძოლაშიც კი მონაწილეობენ.

ამის მიუხედავად, არსებობს სხვა ახალგაზრდების გადაბირების საფრთხე. ამის საწინააღმდეგოდ ჩრდილოკავკასიელი მოხელეები სხვადასხვა ხერხის გამოყენებას ცდილობენ.

მაგალითად, ინგუშეთის ლიდერმა შექმნა სპეცჯგუფი, რომელმაც უნდა გამოავლინოს პირები, რომლებიც ახალგაზრდების სირიაში გაყვანაზე მუშაობენ. ამისათვის ისინი სოციალურ ქსელებსაც იყენებენ. ინგუშეთის ლიდერსვე ეკუთვნის ინიციატივა სირიაში წასულებისთვის რუსეთის მოქალაქეობის ჩამორთმევის შესახებ. მისი აზრით, ასეთი ნორმის შემოღება ხალიფატთან თანამშრომლობის სურვილს ბევრს გაუქრობს.

მისი ინიციატივა მოსკოვში არ გაიზიარეს.

კავკასიელმა მებრძოლებმა ახლო აღმოსავლეთში 2013 წელს შექმნეს თავიანთი ჯგუფი ალ-მუჰაჯირინი.

ექსპერტები აღიარებენ, რომ კავკასიაში მყოფი ტერორისტული ჯგუფების მართვა მობილური კავშირგაბმულობითა და ინტერნეტით შორიდანაც შეიძლება. ისინი საყურადღებოდ მიიჩნევენ ასევე ისლამური სახელმწიფოს მუქარას რუსეთისათვის ჯიჰადის გამოცხადების თაობაზე.

– ჯიჰადის გამოცხადება ძალიან სერიოზულად უნდა მივიღოთ. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ისლამური სახელმწიფო ამჟამად ვერ ჩაატარებს მსხვილ ოპერაციებს კავკასიაში. ამას მომზადება სჭირდება, – ამბობს პოლიტოლოგი ახმეტ იარლიკაპოვი.

მისივე თქმით, ძალოვნები ისლამური სახელმწიფოს მხრიდან ტერორისტული საფრთხის გაზრდას მზად უნდა დახვდნენ.

სოციალური ქსელები ხანდახან დამნაშავის გამოვლენის საშუალებაც არის. მაგალითად, დაკავებულია რკინიგზის თანამშრომელი ფერზალიევი, რომელიც თვითნაკეთი ბომბით ყუბანის სარკინიგზო დეპოში ტერაქტს გეგმავდა. ის თანამზრახველებს ქსელებში ეძებდა.

ტერაქტების მზადების ბრალდებით საქართველოს მეზობელ რეგიონებში არაერთი პირია დაკავებული.

ეს ყველაფერი მოქმედებს საქართველოს უსაფრთხოებაზე, მით უმეტეს იმ პირობებში, როცა საუბარია საქართველოში სირიელი ლტოლვილების მიღებაზე, საქართველოს მოქალაქეების ნაწილი კი სირიაში საბრძოლველად არის წასული.



# ილია მეორე: „მუსლიმანური რელიგია არაფერ შუაშია, ადამიანი თავის ბოროტ ნებას ავლენს“

გუშინ, 15 ნოემბერს, საკვირაო ქადაგებისას, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია მეორე პარიზში მომხდარ ტერაქტებსა და რუსული თვითმფრინავის აფეთქებას გამოეხმაურა.

– მუსლიმანური რელიგია არაფერ შუაშია. ადამიანი თავის ბოროტ ნებას ავლენს, – განაცხადა მან სამების საკათედრო ტაძარში.

– ჩვენ უფალს შევთხოვთ, რომ ღვთის ძალა და ღვთის მშვიდობა სუფევდეს საქართველოში და მთელ მსოფლიოში. ჩვენ ვცხოვრობთ იმ დროს, როცა სიკეთე და ბოროტება ერთმანეთს ებრძვის. ეს მუდამ იყო, მაგრამ ბოლო წლებში, ბოლო ათწლეულებში გაძლიერდა.

ჩვენი დიდი პოეტი ამბობს: „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“. ჩვენ შევთხოვთ უფალს, რომ კეთილმა სძლიოს ბოროტს. ბოროტი ძალიან ხშირად ადამიანის ბოროტი ნებით გამოვლინდება. ბოლო დროს გამოვლინდა – იცით, რომ მოხდა თვითმფრინავის აფეთქება. ასევე ჩვენ თანავუგრძნობთ საფრანგეთის მოსახლეობას. იქ მრავალი მსხვერპლია და ვლოცულობთ მათთვის.

არიან ადამიანები, რომლებიც ამას მიაწერენ რელიგიას – მუსლიმანურ რელიგიას. მაგრამ სინამდვილეში რელიგია არაფერ შუაშია. ადამიანი თავის ბოროტ ნებას ავლენს. იმედი გვაქვს, ეს ყველაფერი დამშვიდდება, დაწყნარდება და ისევ იზეიმებს სიკეთე და სიხარული, როგორც ამბობს შოთა რუსთაველი, რომ სიკეთის არსება გრძელია. ჩვენ შევთხოვთ უფალს, ეს არსად აღარ გამეორდეს, – განაცხადა ილია მეორემ.

პატრიარქმა ღმერთს დაღუპული ადამიანების ცხონება და დაჭრილთა გამოჯანმრთელება შესთხოვა.

მან ასევე აღნიშნა, რომ იზიარებს ოჯახების მწუხარებას.

გარდა ამისა, ილია მეორემ მრევლს მისცა ლოცვა-კურთხევა, 40 დღის განმავლობაში ყოველდღე სახარების ერთი თავი წაიკითხონ, რათა საქართველოსა და მსოფლიოში მშვიდობამ იზეიმოს.

# სისხლიანი თავდასხმა პარიზზე

დასაწყისი მე-2 გვერდზე

18 რაიონებში, – ნათქვამია განცხადებაში.

ისლამური სახელმწიფოს ცნობით, მას შემდეგ, რაც თავდამსხმელებს ტყვია-წამალი გაუთავდათ, ურწმუნოთა ბრბოში თავი აიფეთქეს.

– იცოდეს საფრანგეთმა და ყველამ, ვინც მის კვალდაკვალ მიდის, რომ ისინი ისლამური სახელმწიფოს მთავარ სამიზნეებად დარჩებიან. თქვენ სიკვდილის სუნს იქამდე იგრძნობთ, სანამ ჯვაროსნების კოალიციაში ხართ, სანამ ჩვენს წინასწარმეტყველს (მშვიდობა მას და ღვთის კურთხევა) ლანძღავთ, სანამ ამაყობთ თქვენი ომით ისლამის წინააღმდეგ საფრანგეთში და ავიადარტყმებით სახალიფოს მიწებზე. არადა, ეს თვითმფრინავები პარიზის ქუჩებში ვერ დაგიცავენ, – ნათქვამია განცხადებაში.

ისლამური სახელმწიფოს ცნობით, პარიზში განხორციელებული თავდასხმა მომავალი კოკისპირული წვიმის პირველი წვეთია.

◆ ◆ ◆

საფრანგეთის პოლიციამ პარიზის ტერაქტების ერთ-ერთი მონაწილის გარემოცვიდან 6 პირი დააკავა.

ყველა დაკავებულს კავშირი აქვს ისმაილ ომარ მოსტეფასთან. არსებული ინფორმაციით, მოსტეფა ბატაკლანის თეატრში ტყვეების აყვანის ოპერაციაში მონაწილეობდა.

დაკავებულთა შორის არიან ისმაილ ომარ მოსტეფას ძმა და მამა.

15 ნოემბერს საფრანგეთის პოლიციამ აღმოაჩინა ავტომობილი, რომელიც, სავარაუდოდ, ტერორისტებმა გამოიყენეს. ის პარიზის გარეუბან მონტერეიში იპოვეს, რაც იმის ვარაუდის საშუალებას იძლევა, რომ ზოგიერთმა თავდამსხმელმა მიმალვა შეძლო.

აღნიშნული ავტომობილი ერთ-ერთმა თვითმხილველმა აღწერა.

ავტომობილში „კალაშნიკოვის“ სისტემის რამდენიმე ავტომატიც აღმოაჩინეს.

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# „გურჯისტანის ვილაიეთი დიდ პრობლემებს შეგვიქმნის“

შორენა მარსაგიშვილი

**რას გვიქადის გურჯისტანის ვილაიეთი, რა პრობლემებს შეგვიქმნის ლაფანყურის დაკონსერვებული საქმე, რისთვის უნდა ემზადოს ხელისუფლება, არის თუ არა ქართველი ისლამისტების მიერ გავრცელებული მუქარის წერილები სახიფათო? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ კავკასიის ხალხთა კონფედერაციის პრეზიდენტი ზაალ კასრელიშვილი ესაუბრება.**

**ზაალ კასრელიშვილი:**

– სანამ საქართველოს წინაშე არსებულ საფრთხეებზე ვისაუბრებ, მინდა, ფრანგ ხალხსა და მთელ ცივილიზებულ სამყაროს მივუსამძიმრო იმ საშინელების გამო, რომელიც 13 ნოემბერს პარიზში დატრიალდა.

როდესაც ევროპამ სირიელი ლტოლვილების მიღება დაიწყო, მაშინ „ახალ თაობასთან“ საუბარში განვაცხადე, რომ მალე ევროპას სერიოზული პრობლემები შეექმნებოდა. მშვიდობიან მოსახლეობასთან ერთად, ევროპაში რამდენიმე ათასი მებრძოლიც შევიდა. ტერაქტებს ნამდვილად ველოდებოდი, მაგრამ ასე სწრაფად – არა. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, ისინი მომავალი წლიდან უნდა გააქტიურებულიყვნენ. მათ ევროპაში ჯერ კარგად უნდა მოეკიდათ ფეხი. ხალიფატმა რატომღაც გადაწყვიტა, რომ ტერაქტები ახლავე დაეწყოთ და ეს რუსეთთან არის დაკავშირებული.

*– რუსეთთან რა კავშირშია?*

– რუსეთმა სირიაში ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ დაიწყო სპეცოპერაცია. მაშინ ქართულ და უცხოურ მედიას ვუთხარი, რომ ეს ცუდ შედეგებს გამოიღებდა და ისლამისტი მებრძოლები მთელ მსოფლიოში გაიშლებოდნენ. ასეც მოხდა და მივიღეთ საშინელი ტერორისტული აქტი.

ტერორისტები ევროპაში აქამდეც მრავლად იყვნენ. ისინი სპეცსამსახურებს მკაცრ კონტროლზე ჰყავდათ აყვანილი და დიდად არც თავად აქტიურობდნენ, ახლა, როგორც კი სირიელ ლტოლვილებთან ერთად სხვა ტერორისტები შევიდნენ და შევსება მიიღეს, გადაწყვიტეს, ბრძოლაში ჩაბმულიყვნენ.

2015 წლის 13 ნოემბერმა ძალიან ბევრი კითხვა გააჩინა და რაღაცებიც გამოაჩინა. ჩვენ მომსწრენი გავხდით იმისა, რომ ისლამისტებმა ბრძოლის ფორმა შეცვალეს.

*– ბრძოლის ფორმის შეცვლაში რას გულისხმობთ?*

– ისლამისტები აქამდე ან მარტო მოჯაჰედები იყვნენ ან შაჰიდები, საფრანგეთის ტერაქტის დროს კი ორივე გააერთიანეს. ამ ტერორისტებმა ჯერ იბრძოლეს, სადღაც შეცვივდნენ და ამით მოჯაჰედობას გაუსვეს ხაზი, შემდეგ კი, როგორც შაჰიდებს სჩვევიათ, თავი აიფეთქეს.

მართლა არ ვიცი, რას უკავშირდება მათი ბრძოლის სტილის შეცვლა, მაგრამ ერთ რამეში დარწმუნებული ვარ, რომ მომავალში ხალიფატი ბრძოლის ამ ფორმებს გამოიყენებს.

13 ნოემბრის ტერაქტის შემდეგ ისლამური სახელმწიფო კიდევ უფრო საშიში გახდა. მთელმა ცივილიზებულმა სამყარომ მათ ომი გამოუცხადა. ისინი იატაკქვეშეთში გადავიდნენ და იქიდან გააგრძელებენ ბრძოლას. მათი ბრძოლა უფრო დაუნდობელი გახდება. 2016-2017 წლები ცივილიზებული სამყაროსთვის ძალიან მძიმე იქნება. განსაკუთრებით იმ ქვეყნებს უნდა ეშინოდეთ, რომლებიც ანტიტერორისტულ კოალიციაში არიან და ერაყსა თუ ავღანეთში მიმდინარე ოპერაციებში მონაწილეობენ.

*– ამ კოალიციაში საქართველოც არის და საფრთხე ჩვენც გვემუქრება?*

– ძალიან სერიოზული საფრთხეები გვემუქრება, თან ჩვენ უკვე მივიღეთ გაფრთხილება.

*– რა გაფრთხილებაზე საუბრობთ, რამდენიმე დღის წინ ისლამისტი ქართველი მებრძოლი რომ დაგვემუქრა?*








## ზაალ კასრელიშვილი: „ისლამური სახელმწიფო ლაფანყურის საქმის მიჩქმალვაზე მოგვთხოვს პასუხს“

– არა, ეგ მუქარა დიდ საფრთხედ არ მიმაჩნია. ისლამურ სახელმწიფოში მყოფ მებრძოლებს სოციალურ ქსელებთან ჯდომისა და იქ რაღაცების დაწერის დრო არ აქვთ. ამ ადამიანმა ეს მუქარა იმიტომ გაავრცელა, რომ საკუთარი თავი დაიმკვიდროს. ბრძოლებში, ეტყობა, თავი ვერ გამოიჩინა და ასეთი განცხადებებით ცდილობს ყურადღების მიპყრობას.

კავკასიის ხალხთა კონფედერაციის სახელით გპირდებით, რომ ამ პიროვნებას სერიოზული პრობლემები შეექმნება.

*– რა პრობლემები შეექმნება?*

– სახალხოდ ვაცხადებ, რომ ამ მუქარისთვის მას სერიოზული პრობლემები შეექმნება როგორც იქ, სადაც არის, ასევე აქ. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მას არავინ ჰკითხავს, სად რა უნდა მოაწყონ. ეს არ არის პირველი შემთხვევა, როცა საქართველოს ეთნიკური ქართველი ისლამისტები ემუქრებიან. რამდენიმე თვის წინ ისიც ემუქრებოდა საქართველოს, მაგრამ ჩვენ მას სათანადო პასუხი გავეცით და ამის შემდეგ აღარ გამოჩენილა. ესეც მიიღებს სათანადო პასუხს.

ასეთი მუქარები სახიფათო არ არის, მაგრამ ძალიან შემაშფოთებელია გურჯისტანის ვილაიეთის შექმნა. აქამდე ასეთი რამ არ მომხდარა. საქართველოს ვილაიეთის შექმნა იმაზე მიუთითებს, რომ ისლამური სახელმწიფოს ხელმძღვანელობა საქართველოში ნიშნავს თავის წარმომადგენელს, რომელიც მომავალში ვალდებული იქნება, ხალიფატის ხელმძღვანელობის დავალება უსიტყვოდ შეასრულოს.

*– თუ არ ან ვერ შეასრულებს?*

– მაშინ ის სასტიკად აგებს პასუხს. ამაზე საკმაოდ მძიმე სასჯელია. მის ადგილს დაიკავებს ის ადამიანი, რომელიც უკეთესად შეასრულებს ბრძანებებს. აქამდე საქართველოში ამ ტერიტორიაზე პასუხისმგებელი პირი არ იყო. უახლოეს მომავალში გურჯისტანის ვილაიეთის ხელმძღვანელს დანიშნავენ.

*– გურჯისტანის ვილაიეთის ხელმძღვანელი აუცილებლად საქართველოს მოქალაქე უნდა იყოს?*

– გურჯისტანის ვიალაიეთის ხელმძღვანელი მხოლოდ საქართველოს მოქალაქე კი არ უნდა იყოს, ის ზედმიწევნით კარგად უნდა იცნობდეს საქართველოს, რომ დავალებები კარგად შეასრულოს. მას საქართველოს გეოგრაფიის კარგი ცოდნაც მოეთხოვება. ისე კარგად უნდა იცნობდეს აქაურობას, რომ კონტაქტები თვალდახუჭულმა დაამყაროს.

*– ვილაიეთის ხელმძღვანელი აქ უნდა იჯდეს?*

– ჩვენი აზრით, ის აქ არ იქნება. მას ხალიფატში დატოვებენ.

*– ის თუ იქ იქნება, ხალიფატის დავალებებს ვინ შეასრულებს?*

– ასეთი ხალხი გამოჩნდება, რაც მთავარია, მათ დასაყრდენი ჰყავთ როგორც შიიტებში, ასევე სუნიტებში. ახლა ეფექტური მართვის მექანიზმები სჭირდებათ, რითიც საქართველოს ხელისუფლებას მათი პირობების შესრულებას აიძულებენ.

ხელისუფლებას გავახსენებ ლაფანყურის საქმესაც და ვურჩევ, რაც შეიძლება მალე გამოაქვეყნონ გამოძიების შედეგები. ამის გამო შესაძლოა სერიოზული პრობლემები შეგვექმნას ისლამურ სახელმწიფოსთან. მათ აქამდე საქართველოს მიმართ მხოლოდ ერთი პრეტენზია გამოხატეს და ეს პრეტენზია ლაფანყურის საქმეს ეხება. კეთილი ინებოს ხელისუფლებამ, გაასაჯაროოს ეს საქმე და დამნაშავეები დასაჯოს.

***– თქვენ არაერთხელ თქვით, რომ ამ საქმის გასაჯაროება რამდენიმე ქვეყნის სპეცსამსახურების მოთხოვნით არ ხდება.***

– ამის გამო ისლამურმა სახელმწიფომ ჩვენზე შურისძიება რომ გადაწყვიტოს, უცხო ქვეყნის სპეცსამსახურები გვიშველიან? მესმის, რომ რაღაც დეტალების გამჟღავნება არ შეიძლება, მაგრამ დამნაშავეები უნდა დაისაჯონ.

ისლამურმა სახელმწიფომ ომი თუ გამოგვიცხადა, პირველ რიგში პასუხს ლაფანყურის საქმის გამო მოგვთხოვენ. ასე თუ მოხდა, მოქმედი და ყოფილი ხელისუფლების წევრებს ძალიან მკაცრად მოეთხოვებათ პასუხი. პასუხს მათ ჩვენ მოვთხოვთ.

***– ყოფილი ხელისუფლება გასაგებია, მაგრამ მოქმედ ხელისუფლებას რაზე უნდა მოსთხოვოთ პასუხი?***

– იმაზე, რომ დამნაშავეებს ხელს აფარებენ, ამით კი ქვეყანასა და მის მოსახლეობას აყენებენ საფრთხის ქვეშ.

***– პარიზის ტერაქტიდან ცოტა ხანში უკრაინულმა ვიკილიქსმა გამოაქვეყნა ინფორმაცია, რომ სააკაშვილი საქართველოში ტერორისტული აქტების მოწყობას აპირებს. გამოცემის ცნობით, ეს ტერაქტები უკრაინაში მებრძოლმა ქართველმა ოფიცრებმა და სირიაში ნაომარმა საქართველოს მოქალაქეებმა უნდა მოაწყონ. გჯერათ ამ ინფორმაციის?***

– ჩვენ არაფერს გამოვრიცხავთ. ამ ქვეყანაში ყველაფერი შეიძლება მოხდეს. მე არ ვიცი, რა ფაქტებზე დაყრდნობით აქვეყნებს გამოცემა ასეთ ინფორმაციას. ასეთი რამე თუ მოხდა, დამკვეთებსაც და შემსრულებლებსაც ძალიან ცუდად წაუვათ საქმე. ეს კავკასიაა და აქ უდანაშაულოდ ხალხის დახოცვას არავის შეარჩენენ, ახლა – მით უმეტეს. როცა მსოფლიომ ტერორისტებს დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადა. ვინმეს არ ეგონოს, რომ მხოლოდ ისლამური სახელმწიფოს მებრძოლებს მოსთხოვენ პასუხს ტერაქტების გამო. პასუხი ყველას მოეთხოვება.

სააკაშვილი რას იზამს, ვერ გეტყვით, მაგრამ, იმაში დარწმუნებული ვარ, რომ რუსეთის მხრიდან სერიოზული საფრთხეები შეგვექმნება. ისინი აქტიურ ქმედებებზე მას შემდეგ გადავლენ, როცა გურჯისტანის ვილაიეთის ხელმძღვანელი დაინიშნება. არ ვამბობ, რომ ჩვენს ტერიტორიაზე პირდაპირ შემოიჭრებიან. თავიდან ისინი საინფორმაციო ომს დაიწყებენ, შეეცდებიან მსოფლიო დაარწმუნონ, რომ საქართველოში რადიკალი ისლამისტები არიან, დაარწმუნებენ ყველას, რომ საქართველოდან მათ საფრთხე ემუქრება, ამის შემდეგ უკვე მოქმედებებზე გადავლენ.

*– მოქმედებებში რას გულისხმობთ?*

– შეიძლება, ეს სახმელეთო ოპერაცია იყოს, შესაძლოა, ჩვენი ტერიტორიები დაბომბონ. ასეთი რამე მათ სხვა დროსაც გაუკეთებიათ.

***– საქართველოს ხელისუფლება მზად არის ამ გამოწვევებისთვის?***

– ეჭვი მეპარება, რომ ამისთვის მზად იყვნენ. ისლამურ სახელმწიფოს რას დაუპირისპირებენ, არ ვიცი, მაგრამ რუსეთის წინააღმდეგ რაღაცის გაკეთება შეიძლება. როცა რაღაცას ვამბობ, მუშტის ქნევას არ ვგულისხმობ. უნდა ვეცადოთ, რომ რუსეთმა საინფორმაციო ომი არ მოგვიგოს.

მივმართავ საქართველოს პრემიერსა და პრეზიდენტს, თავი დაანებონ ერთმანეთთან კინკლაობას და ახალი უშიშროების საბჭო ჩამოაყალიბონ.

***– უშიშროების საბჭო ხომ უკვე გვყავს, პრემიერის დაქვემდებარებაშიც არის იმავე ფუნქციების მატარებელი უწყება.***

– მთელი უბედურება ის არის, რომ არც პრეზიდენტის დაქვემდებარებაში მყოფი უშიშროების საბჭო ვარგა და არც – ღარიბაშვილის კრიზისების მართვის ცენტრი. მარგველაშვილის საბჭო არაპროფესიონალებით არის დაკომპლექტებული, პრემიერის ცენტრს კი ყოფილი ჩინოვნიკებისა და გაშიფრული აგენტების თავშესაფარს ეძახიან.

ღარიბაშვილმა და მარგველაშვილმა კეთილი ინებონ, შექმნან ერთი საბჭო და პროფესიონალებით დააკომპლექტონ. დღეს საქართველო სერიოზული საფრთხეების წინაშე დგას და ამ რისკებს გამკლავება სჭირდება.

არ ვიცი, რას აკეთებენ სპეცსამსახურები, მაგრამ, დღეს საქართველოში რომ უბედურებები არ ხდება, ეს მხოლოდ ღმერთისა და ჩვენი პატრიარქის დამსახურებაა. ტრაბახი არ მიყვარს, მაგრამ ამ საქმეში ჩვენც გვაქვს ჩვენი წვლილი შეტანილი. ახლა დროა, ხელისუფლებაც გადავიდეს მოქმედებაზე.

# რატომ დაცხრილეს პანკისის პოლიციის უფროსის მანქანა

შორენა მარსაგიშვილი

დეპუტატმა ირმა ნადირაშვილმა სოციალური ქსელით სკანდალური ინფორმაცია გაავრცელა. მისი მტკიცებით, პანკისის ხეობაში, სოფელ დუისის შესასვლელთან, პანკისის პოლიციის უფროსის მანქანა დაცხრილეს.

– საინტერესოა, შსს განცხადებას რატომ არ აკეთებს? ასეთი უმნიშვნელო ფაქტია ვითომ? – იკითხა ირმა ნადირაშვილმა.

პანკისში მომხდარი ყველა ამბავი, როგორც წესი, რეზონანსულია. ამ ამბის გავრცელებას კი დიდი წიოკი მოჰყვა. თუმცა ერი მალევე დამშვიდდა, რადგან გაირკვა, რომ ეს ამბავი დაახლოებით ერთი კვირის წინ მოხდა.

აი, რას ყვება ამის შესახებ ჟურნალისტი პანკისიდან სულხან ბორძიკაშვილი:

– საკობიანოში ერთ-ერთი ადგილობრივი მცხოვრები მთვრალი დადიოდა ქუჩაში ავტომატით და მთელი ღამე ისროდა. პოლიცია მივიდა ადგილზე. დაკავების დროს ამ კაცმა ცადა პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევა, თუმცა არ დაანება, ავტომატი (ხელიდან გააგდო ან გაისროლა) მოხვდა დუისის პოლიციის უფროსის მანქანის უკანა მინას და მინა ჩაიმსხვრა. დააკავეს და ჩასვეს.

ეს ამბავი რატომღაც არ გახმაურდა. მას შემდეგ, რაც ირმა ნადირაშვილმა ფეისბუქის კედელზე თავი გაინერვიულა, შსს-მ საგანგებო განცხადება გაავრცელა და ფაქტი ნაწილობრივ აღიარა.

განცხადებაში ვკითხულობთ, რომ შსს-ს კახეთის პოლიციის დეპარტამენტის ახმეტის რაიონული სამმართველოსა და ამავე სამმართველოს დუისის პოლიციის განყოფილების თანამშრომლებმა ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად 1981 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი შავლეგ ყ. დააკავეს.




სამინისტროს ცნობით, გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულმა ახმეტის რაიონის სოფელ საკობიანოში ღამით არარეგისტრირებული ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან უმისამართოდ რამდენჯერმე გაისროლა. შემთხვევის ადგილზე მისული პოლიციელების კანონიერ მოთხოვნას შავლეგ ყ. არ დაემორჩილა და შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევა ცადა, რა დროსაც სამართალდამცველებმა ის განაიარაღეს. დაკავებისას შავლეგ ყ. თავს დაესხა პოლიციის სატრანსპორტო საშუალებას და უკანა საქარე მინა დააზიანა.

სამართალდამცველებმა დაკავებულის პირადი ჩხრეკისას ნარკოტიკული საშუალება მარიხუანა, „ა-კა-ეს 74“-ის მოდელის არარეგისტრირებული ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, 2 მჭიდი და 35 საბრძოლო ვაზნა, ხოლო მისი საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას 16 საბრძოლო ვაზნა ამოიღეს.

ალკოტესტით შემოწმების შედეგად შავლეგ ყ-ს ალკოჰოლური თრობა, ხოლო ნარკოლოგიური შემოწმებით მარიხუანის მოხმარების ფაქტი დაუდგინდა. დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

ისე, საინტერესოა, რატომ არ გაახმაურა შსს-მ თავიდანვე ეს ფაქტი. არც ირმა ნადირაშვილი განერვიულდებოდა და არც ერს შეაშფოთებდა.

# პაატა ბურჭულაძე თუ ბიძინა ივანიშვილი?

## სოსო ცინცაძე: „2016 წლის არჩევნებზე მთავარი დაპირისპირება ბურჭულაძესა და ივანიშვილს შორის იქნება“



ნათია ხურცილავა

**პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აცხადებს, რომ პაატა ბურჭულაძის მიერ საზოგადოებრივ-პოლიტიკური ფონდის დაარსება პოლიტიკური განაცხადი და იმის წინაპირობაა, რომ პაატა ბურჭულაძე დიდ პოლიტიკაში მიდის.**

**სოსო ცინცაძე:**

– ეს არ არის ვარაუდი, ეს უკვე შემდგარი ფაქტია, მაგრამ მთავარი კითხვაა, რამ აიძულა პაატა ბურჭულაძე, რომ ეს გადაწყვეტილება მიეღო. თავის დროზე რამ აიძულა ბიძინა ივანიშვილი, რომ ასევე მოსულიყო დიდ პოლიტიკაში?! ამ კითხვაზე ერთი მარტივი პასუხია: ქვეყანაში არსებულმა პოლიტიკურმა მდგომარეობამ.

დღეს პაატა ბურჭულაძე იმავე სურათს ხედავს, რომელსაც ხედავდა თავის დროზე ბიძინა ივანიშვილი. ცხადია, განსხვავებულია ეს სურათი, თუმცა, როგორც ჩანს, ის პოლიტიკურ კრიზისს ხედავს.

***– დღეს ქვეყანაში პოლიტიკური კრიზისია?***

– არ არის აუცილებელი, რომ ქონების წართმევა, ღამე გადაფორმებები, ადამიანების მკვლელობები ხდებოდეს ქუჩაში. პოლიტიკურ კრიზისს ფართო სპექტრი აქვს. პოლიტიკური კრიზისი ძალზე ხშირია დემოკრატიულ ქვეყნებშიც.

დღეს საქართველოში პოლიტიკური კრიზისია.

***– პაატა ბურჭულაძეს გამოწვევები, რისკები გაცნობიერებული აქვს?***

– სხვაგვარად შეუძლებელია, წარმოუდგენელია.



***– ხელისუფლების ოპოზიცია იქნება?***

– რასაკვირველია. ახალი ძალის მიზანი არის ხელისუფლებაში მოსვლა. რასაკვირველია, ბურჭულაძე მოდის ძალაუფლების ხელში ასაღებად, აბა, რისთვის მოდიოდა თავის დროზე ივანიშვილი?

***– რა შანსები აქვს დღეს ბატონ პაატას?***

– ყველაფერი დამოკიდებული იქნება რესურსებზე, პირველ რიგში, მატერიალურ რესურსებზე.

***– ადამიანური რესურსი?***

– ეს არის ყველაზე სერიოზული პრობლემა. პაატა ბურჭულაძის სახელი საკმარისია იმისთვის, რომ მასთან კაპიტალი მივიდეს, მაგრამ ადამიანურ რესურსს, ვის შეარჩევს ის, დიდი მნიშვნელობა ექნება.

***– 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებზე ამ ძალას რა შანსი ექნება?***

– თუ ვინმე დღეს ახალი გამოჩნდა, მისი შანსი მხოლოდ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებია, რადგან ეს არის არჩევნები, რომლებიც განსაზღვრავს, 2020 წლისთვის ვინ იქნება ქვეყნის ხელისუფლებაში. თუ 2016 წლის არჩევნებში ისევ „ქართულმა ოცნებამ“ გაიმარჯვა, მაშინ ის არავის დაუტოვებს მინიმალურ შანსს. ბევრი რამე შეიცვლება.

დღეს გამორიცხულია, რომ ივანიშვილი თავის საკადრო შეცდომებს არ გრძნობდეს.

***– ამას აღიარებს კიდეც.***

– დიახ, ხმამაღლა საუბრობს ამაზე. ივანიშვილს უკვე მონიშნული ეყოლება ახალი სახეები. ის უკვე ეცდება, ახალი სისხლი გადაუსხას მთავრობას. უკვე ხმა გამოვიდა, რომ „ქართული ოცნების“ საპარლამენტო სიაში მილიონერები აღარ იქნებიან. რეჟისორები, მსახიობები, სპორტსმენები აღარ იქნებიან მომავალ პარლამენტში და აქცენტი პროფესიულ სიაზე გაკეთდება.

***– ამით შეეცდება ვითარების გამოსწორებას?***

– დიახ, მაგრამ ეს იქნება გამოსავალი, დაეხმარება კი გამარჯვებაში „ქართულ ოცნებას“? რთული სათქმელია. ჩვენ, როგორც ტიპური აღმოსავლელები, უცებ ავვარდებით და შემდეგ ამას საშინელი იმედგაცრუება მოჰყვება ხოლმე.

***– შეიძლება, ბურჭულაძის შემთხვევაშიც ასე მოხდეს?***

– ასე მოხდა გამსახურდიას, შევარდნაძის, სააკაშვილისა და ივანიშვილის დროსაც. ამიტომ ამას არ გამოვრიცხავ. ლიდერს საქართველოში ცოტა დრო აქვს. 4-5 წელი ძალიან ცოტაა საიმისოდ, რომ ლიდერს რესურსი ეყოს და ის არ გაცვდეს.

***– ბურჭულაძის შემთხვევაში რა იქნება გადამწყვეტი?***

– მისი სახელი და ის ადამიანები, რომლებიც მის გვერდით გამოჩნდებიან.

***– საგარეო ფაქტორები, მისი საგარეო ხედვები?***

– ის რომ დასავლეთზე იქნება ორიენტირებული, ამაში ძალიან ღრმად ვარ დარწმუნებული. შეუძლებელია, ადამიანმა თუნდაც ერთი წელი კი იცხოვროს დასავლეთში და მან სხვაგან გაიხედოს. ეს უკვე, როგორც გენეტიკა, ისეა.

***– რას იტყვით იმ სახეებზე, რომლებიც დასახელდნენ?***

– ვერაფერს გეტყვით, ჩემთვის უცნობია. ძალიან რთულია გამოცნობა. ბიძინა ივანიშვილი გვეუბნებოდა, რომ ხალხის გამოცნობის დიდოსტატი იყო, მერე, როგორც აღმოჩნდა, შეცდა, ვერ გაერკვა ალასანიაში, ვერ გაერკვა მარგველაშვილში, ნარმანიაში.

***– 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში ბრძოლა ივანიშვილსა და ბურჭულაძეს შორის იქნება?***

– რასაკვირველია, თუ ბურჭულაძემ არ გადაიფიქრა, რადგან ის უკანდასახევ გზას იტოვებს.

დღეს ბურჭულაძის სახელი თითქმის უსწორდება ივანიშვილის სახელს. ბურჭულაძე არასდროს ყოფილა ნაციონალური მოძრაობის დამფინანსებელი, არც მათთან სიახლოვეშია შემჩნეული. მის წარსულში ხინჯი არ არის.

***– ეს საკმარისია?***

– ცხადია, არა. მხოლოდ სახელი დღეს უკვე საკმარისი აღარ არის. საკმარისი იყო გამსახურდიას, შევარდნაძის დროს. შევარდნაძის მთავარი სახელმწიფო მრჩეველი ვიყავი და ვიცი, რომ ნაჩუქარი მანქანით დადიოდა, ფული არც გამსახურდიას ჰქონდა და არც – შევარდნაძეს.

დღეს უკვე ფინანსური რესურსი მნიშვნელოვანია სხვა ასპექტებთან ერთად. მე პაატა ბურჭულაძეს ვურჩევდი, უცხოელი მრჩევლები ჩამოიყვანოს. ვფიქრობ, მისი სამომავლო გუნდის პერსონიფიცირება ცოტა ნაადრევი იყო.

# რამდენი ბინა აქვს ირმა ნადირაშვილს



საქართველოს პარლამენტის წევრ ირმა ნადირაშვილის ოჯახი სხვადასხვა სახის უძრავი ქონების 5 ობიექტის მფლობელია. აქედან სამი პარლამენტარის მეუღლე დავით დალელაშვილს ეკუთვნის. ამ უკანასკნელის პირად საკუთრებაში ერთი საცხოვრებელი სახლი, ერთი აგარაკი და ერთი ბინა ირიცხება.

რაც შეეხება თავად პარლამენტარს, ირმა ნადირაშვილი ორ ბინას ფლობს.

**გთავაზობთ ირმა ნადირაშვილის ოჯახის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ობიექტების ნუსხას:**

- 188.00 კვ.მ ფართობის მქონე საცხოვრებელი სახლი თბილისში;
- 387.00 კვ.მ ფართობის მქონე აგარაკი შინდისში;
- 146.00 კვ.მ ფართობის მქონე ბინა თბილისში;
- 56.00 კვ.მ ფართობის მქონე ბინა თბილისში;
- 44.00 კვ.მ ფართობის მქონე ბინა ბათუმში.

შეგახსენებთ, რომ ირმა ნადირაშვილი 2012 წლიდან საქართველოს პარლამენტში ერთიანი ნაციონალური მოძრაობის პარტიული სიით შესული დეპუტატია, მისი მეუღლე დავით დალელაშვილი კი თვითმმართველობის არჩევნებამდე დიდუბე-ჩუღურეთის გამგებელი იყო.

**ნსპ.გე**

# ადვოკატ მდინარაძის ცემისთვის დაკავებულმა ლაშა კვირკვაიამ შიმშილობა დაიწყო

## დაკავებული მკურნალობაზე უარს აცხადებს




ადვოკატ გიორგი მდინარაძის ცემის ფაქტზე დაკავებული ლაშა კვირკვაია, რომელიც რესპუბლიკურ საავადმყოფოშია გადაყვანილი, მკურნალობაზე უარს აცხადებს. ამის შესახებ ჟურნალისტებს რესპუბლიკური საავადმყოფოს გენერალურმა დირექტორმა ავთანდილ იმედაძემ განუცხადა და აღნიშნა, რომ ლაშა კვირკვაია მხოლოდ სტაციონარული დაკვირვების ქვეშ იმყოფება.

მისი თქმით, პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, მაგრამ შიმშილობის გამო სითხის დეფიციტი აღენიშნება, აქვს გარკვეული ცვლილებები სისხლში და სასამართლოზე დასწრებას, ალბათ, ვერ შეძლებდა.

რაც შეეხება რესპუბლიკურ საავადმყოფოში სასამართლოს სხდომის გამართვას, ავთანდილ იმედაძე აცხადებს, რომ ამის შესახებ ინფორმირებული არ იყო და მხოლოდ 15 ნოემბრის დილით მიიღო ინფორმაცია.

მისი თქმით, ადმინისტრაცია შეეცადა, მაქსიმალური ორგანიზება გაეკეთებინა, ასევე შეთავაზებული იყო სასამართლო სხდომის გამართვისთვის რესპუბლიკური საავადმყოფოს საკონფერენციო დარბაზი, რაზეც, ავთანდილ იმედაძის თქმით, როგორც მოსამართლემ, ისე პაციენტმა უარი განაცხადეს.

სასამართლომ ლაშა კვირკვაიას სასამართლომ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა.

სასამართლოს გადაწყვეტილებას ობიექტურად აფასებს თავად ადვოკატი გიორგი მდინარაძე და „ადვოკატთა ასოციაციის“ ხელმძღვანელი ზაზა ხატიაშვილი. ხატიაშვილი აღნიშნავს, რომ „ადვოკატთა ასოციაცია“ ამაზე არ გაჩერდება და გააგრძელებს მონიტორინგს, რათა ყველა, ვინც ჩაიდინა ეს დანაშაული, დაჯდეს საბრალდებო სკამზე. ხატიაშვილი მიუთითებს იმაზეც, რომ, მისი აზრით, პოლიციელები ცრუ ჩვენებებს იძლევიან.

# რა ოდენობის ხელფასი აიღეს მიხეილ მაჭავარიანმა და მისმა მეუღლემ



საქართველოს პარლამენტის წევრ მიხეილ მაჭავარიანისა და მისი მეუღლის წლიურმა სახელფასო ანაზღაურებამ 86.560 ლარი შეადგინა.

აღნიშნული ინფორმაცია პარლამენტარის ქონებრივ დეკლარაციაშია მოცემული. დოკუმენტის თანახმად, გასულ წელს მაჭავარიანის მეუღლე სოფო ჟღენტმა თბილისის მერიაში მთავარ სპეციალისტად მუშაობისთვის სახელფასო ანაზღაურების სახით 24.115 ლარი მიიღო.

რაც შეეხება პარლამენტარის სახელფასო ანაზღაურებას, ერთი წლის განმავლობაში მიხეილ მაჭავარიანმა, როგორც უმცირესობის ლიდერის მოადგილემ, შრომის ანაზღაურების სახით 62.445 ლარი მიიღო.

ინფორმაციისთვის, 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მიხეილ მაჭავარიანი თანხას 7 საბანკო ანგარიშზე განკარგავდა; სხვადასხვა ბანკში მის სახელზე გახსნილ ანგარიშებზე ჯამში 5.005 ლარი, 31.981 აშშ დოლარი და 168 ევრო ირიცხებოდა.

შეგახსენებთ, რომ 2012 წლიდან მაჭავარიანი პარლამენტში ერთიანი ნაციონალური მოძრაობის პარტიული სიით შესული დეპუტატი და ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრია.

**ნსპ.გე**

# „პატრიოტთა ალიანსთან მიმართებით ხელისუფლებამ კონსტიტუცია უხეშად დაარღვია“

უფლებადამცველი ალექსანდრე კობაიძე მიიჩნევს, რომ პატრიოტთა ალიანსის წევრებთან მიმართებით ხელისუფლებამ უხეშად დაარღვია კონსტიტუცია, როცა მოშიმშილეებს არ შეუქმნა გარემო, რომ კონსტიტუციით გათვალისწინებული უსაფრთხოება ეგრძნოთ. ამის შესახებ ალექსანდრე კობაიძემ მედიანიუსთან საუბრისას განაცხადა და ხელისუფლებას მოუწოდა, პატრიოტთა ალიანსის მოშიმშილე წევრებს დემოკრატიული პრინციპებით გათვალისწინებული პირობები შეუქმნას.



**ალექსანდრე კობაიძე:**

– სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ოპოზიციური პარტიის გამოხატვის თავისუფლებას, მათ კი მოშიმშილეებს არ მისცეს საშუალება, კონსტიტუციით გათვალისწინებული უსაფრთხოება ეგრძნოთ. გუშინ პოლიციამ დაშალა მოშიმშილეთა კარვები, მათ არ დაუდგეს ბიოტუალეტები, ადგილზე არ მორიგეობდნენ სასწრაფო დახმარების ბრიგადები, გუშინ ბატონი დიმიტრი ხუნდაძე იმყოფებოდა მოშიმშილეებთან და ვითომ აიღო პასუხისმგებლობა სასწრაფო დახმარების ბრიგადებზე, მაგრამ ზოგადად, კონსტიტუცია უხეშად დაირღვა. ჩვენ, როგორც უფლებადამცველები, ვგმობთ ხელისუფლების ასეთ დამოკიდებულებას ოპოზიციური პარტიის მიმართ.

მისივე თქმით, მოშიმშილეთა აქცია გრძელდება და ხელისუფლებამ ზომები უნდა მიიღოს, რომ მათ კონსტიტუციით გათვალისწინებული პირობები შეექმნათ.

**მედიანიუსი**

**გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1–დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე.

ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

# ციფრული მაუწყებლობის რეფორმა წარმატებით დასრულდა





ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ციფრული მაუწყებლობის სააგენტომ სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“ ციფრული მაუწყებლობის რეფორმის შემაჯამებელი ღონისძიება გამართა.

ღონისძიებას ესწრებოდნენ: საქართველოს მთავრობის წევრები, ევროკავშირისა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა და ჩინეთის საკონსულოს, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციებისა და კერძო სტრუქტურების წარმომადგენლები, ადგილობრივი და უცხოელი ექსპერტები.

ღონისძიება გახსნა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილმა. ანალოგურიდან ციფრულ მიწისზედა მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესზე შესრულებული სამუშაოებისა და მიღებული შედეგების შესახებ ისაუბრეს საქართველოს ვიცეპრემიერმა, საგარეო საქმეთა მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარე ვახტანგ აბაშიძემ, ციფრული მაუწყებლობის სააგენტოს თავმჯდომარე ნინო ქუბინიძემ, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის დირექტორმა ბრუნო ბალვანერამ და არასამთავრობო ორგანიზაციის, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის მედიისა და ტელეკომუნიკაციის მიმართულების ხელმძღვანელმა უჩა სეთურმა.

დიმიტრი ქუმსიშვილი: „დღეს, ჩვენ თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველო მოწინავე ქვეყანაა, რომელმაც უმოკლეს პერიოდში მოახერხა ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლა. რეფორმის წარმატება განაპირობა ქვეყნის აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებასთან ერთად საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის, საქართველოს ტელერადიოცენტრის, საზოგადოებრივი მაუწყებლის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, საერთაშორისო და ადგილობრივი ექსპერტებისა და კონსულტანტების, არასამთავრობო ორგანიზაციების კოორდინირებულმა და მიზანმიმართულმა მუშაობამ და ეს იყო ძალიან ნაყოფიერი შრომა“.

გიორგი კვირიკაშვილმა დამსწრე საზოგადოებას მიულოცა რეფორმის წარმატება და აღნიშნა, რომ საქართველო რეგიონში ერთადერთი ქვეყანაა, რომელმაც ახალი ტექნოლოგიური პლატფორმისთვის საჭირო ყველა ღონისძიება უპრეცედენტოდ მოკლე ვადებში წარმატებით დაასრულა.

„დიდი მადლობა მინდა გადავუხადო რეფორმის პროცესში ჩართულ ყველა მონაწილეს; ასევე განსაკუთრებული მადლობა ნინო ქუბინიძეს, რომელმაც უმნიშვნელოვანესი მენეჯერული ფუნქცია შეასრულა ამ პროექტის ეფექტიანად განხორციელებაში. მადლობა ჩვენი ქვეყნის მოსახლეობას, რომელიც გაგებით შეხვდა ამ სიახლეს“, – განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

ვახტანგ აბაშიძე ასევე შეუერთდა მილოცვებს. მისი თქმით, რეფორმის მთავარი მიღწევაა საქართველოში წარმოებული სამაუწყებლო კონტენტისა და გამოხატვის თავისუფლების წახალისება.

„რეფორმამ საშუალება მოგვცა, რომ მაუწყებლობის შესახებ კანონში შესულიყო ცვლილებები და ლიცენზირების რეჟიმიდან მაუწყებლობის მსურველები გადასულიყვნენ მარტივი ავტორიზაციის რეჟიმზე. ეს გახლავთ ძალიან მაღალი დონის ლიბერალური რეჟიმი მაუწყებლებისთვის. ამ დონის ლიბერალური მიდგომები საკანონმდებლო დონეზე შესაძლოა, მხოლოდ რამდენიმე ქვეყანას ჰქონდეს“, – განაცხადა ვახტანგ აბაშიძემ.

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის დირექტორმა ბრუნო ბალვანერამ აღნიშნა, რომ ამ პროცესმა განსაკუთრებული წვლილი შეიტანა EBRD-ის საქმიანობაში.

„ჩვენ გვჯერა, რომ კომუნიკაციები ძალიან მნიშვნელოვანი სფეროა, რომელსაც ქვეყნისთვის დიდი სარგებელი მოაქვს. ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლამ მოიტანა გამოთავისუფლებული სიხშირული რესურსი, გაუმჯობესებული ხარისხი, კანონი გახდა უფრო ლიბერალური. საქართველო ერთი ნაბიჯით დაუახლოვდა ევროკავშირსა და ევროსტანდარტებს“.

ციფრული მაუწყებლობის სააგენტოს თავმჯდომარე ნინო ქუბინიძემ შეაჯამა რეფორმის პროცესში განხორციელებული აქტივობები და ისაუბრა მიღებულ შედეგებსა და სარგებელზე.

„რადიოსიხშირული სპექტრის ეფექტიანად გამოყენების თვალსაზრისით და ასევე უპრეცედენტო ფასდაკლებით უმაღლესი კატეგორიის ქსელური აპარატურისა და სერტიფიცირებული სეთ-თოფ ბოქსების შესყიდვით, სახელმწიფომ უზრუნველყო ქვეყნისა და მოსახლეობის ინტერესების მაქსიმალური დაცვა და საბიუჯეტო ფულადი სახსრების ოპტიმალური, რაციონალური ხარჯვა“, – განაცხადა ქუბინიძემ.

რეფორმა ასევე მიმოიხილა არასამთავრობო ორგანიზაცია IDFI-ის წარმომადგენელმა უჩა სეთურმაც. მან ისაუბრა მედიის რეგულირების გაუმჯობესებულ მოდელზე და პროექტის მსვლელობა დადებითად შეაფასა.

„დღეს სახელმწიფო მინიმალურად, მხოლოდ რეგულირების დონეზე ერევა კომერციული მაუწყებლების გავრცელებაში და ეს ერთ-ერთი ფაქტორია, რომელსაც საქართველოს ფარგლებს გარეთაც დადებითად აფასებენ. მინდა განსაკუთრებით გამოვყო რეგიონული მედიის ნაწილი. სწორედ, საჩუქრად გადაცემული ლიცენზიები იყო წინაპირობა ამ პროცესის წარმატებისა. მინდა ვთქვა, რომ ჩვენი პარტნიორების მიერ ეს მოდელი შეფასდა, როგორც ქართული წარმატებული პროექტი“.

ნინო ქუბინიძემ და ვახტანგ აბაშიძემ მადლობის სიგელები გადასცეს იმ კომპანიებსა და ცალკეულ ადამიანებს, რომლებმაც რეფორმის პროცესში უპრეცედენტო თანადგომა და მხარდაჭერა გამოხატეს.

დასასრულს, წარმოდგენილი იყო ციფრული მაუწყებლობის სააგენტოს მიერ მომზადებული დოკუმენტური ფილმი „ციფრული მაუწყებლობის რეფორმა საქართველოში“.

შეგახსენებთ, რომ ამ დროისთვის ახალი ტექნოლოგიური პლატფორმისთვის საჭირო ყველა სამუშაო, მათ შორის, საკანონმდებლო რეგულაციები, სახელმწიფო და კერძო ქსელების მშენებლობა, მოსახლეობის სუბსიდირება და საინფორმაციო კამპანია დასრულებულია.

საერთაშორისო ვალდებულებით განპირობებულმა ტექნოლოგიურმა ცვლილებამ ტერესტრიული სატელევიზიო ინდუსტრია ძირეულად გარდაქმნა. მრავალფუნქციური მომსახურების სრული სპექტრი და სიხშირული რესურსის ეფექტიანი გამოყენების შესაძლებლობები თანამედროვე მსოფლიოს არჩევანია, რომელსაც ჩვენი ქვეყანაც შეუერთდა. რეფორმის განხორციელებით საქართველოში ღია საეთერო ტელემაუწყებლობა განვითარების ახალ ეტაპზე გადავიდა.

## მთავრობის სარეზერვო ფონდი 15 მილიონით იზრდება



მიმდინარე წლის ბიუჯეტში მთავრობის სარეზერვო ფონდი 15.0 მლნ ლარით იზრდება. ამას 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში დაგეგმილი ცვლილებების პროექტი ითვალისწინებს, რომელიც მთავრობამ პარლამენტს უკვე წარუდგინა.

როგორც ამასთან დაკავშირებით საბიუჯეტო ცვლილებების პროექტშია აღნიშნული, მთავრობის სარეზერვო ფონდი წლის ბოლომდე არსებული მოთხოვნების გათვალისწინებით იზრდება.

– საქართველოს სპორტსმენთა ხელშეწყობის სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის დამტკიცების შესახებ მთავრობის დადგენილების შესაბამისად, მიღწეული შედეგების მიხედვით, სპორტსმენთა დაჯილდოებისთვის საჭიროა 7.0 მლნ ლარამდე, – აღნიშნულია საბიუჯეტო ცვლილებების პროექტს თანდართულ განმარტებით ბარათში.

გარდა ამისა, პარლამენტში წარდგენილი ცვლილებების მიხედვით, ჯანდაცვის სამინისტროს დაფინანსება 96.0 მლნ ლარით იზრდება და როგორც მთავრობა განმარტავს, ეს „ჯანმრთელობის საყოველთაო დაცვის“ პროგრამის შეუფერხებელი განხორციელების მიზნით ხდება.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დაფინანსება მცირდება 76.0 მლნ ლარით, მათ შორის, საბიუჯეტო სახსრების ნაწილში 15.0 მლნ ლარით, ხოლო საინვესტიციო კრედიტების ნაწილში 64.0 მლნ ლარით.

ამასთან, საინვესტიციო გრანტების ნაწილში იზრდება 3.0 მლნ ლარით. სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაფინანსება ჯამში 5.0 მლნ ლარით მცირდება – ლიზინგის ვალდებულების დასაფინანსებლად 4.0 მლნ ლარი ემატება, ხოლო ირიგაციისა და დრენაჟის სისტემების გაუმჯობესება 9.0 მლნ ლარით მცირდება.

ბიუჯეტის გადასახდელები ჯამურად, 30.0 მლნ ლარით იზრდება.

**ბიპიენი**

## რა ღირს რემონტი საქართველოში



გასულ წელთან შედარებით, საქართველოში რემონტის ფასი საგრძნობლად გაიზარდა. მოვაჭრეების თქმით, ლარის გაუფასურებამ სამშენებლო მასალების მნიშვნელოვანი გაძვირება გამოიწვია.

შესაბამისად, სამშენებლო მასალებზე მოთხოვნა შემცირებულია.

– ხალხი კოსმეტიკური რემონტისგანაც კი თავს იკავებს. ფასდაკლებას ელოდებიან, თუმცა დოლარის კურსი თუ არ დარეგულირდა, სამშენებლო მასალებზე ფასების კლება გამორიცხულია, – ამბობენ მოვაჭრეები.

სამშენებლო მასალების ბაზარზე რემონტისთვის ყველაზე მოთხოვნადი ცემენტი 1 ტომარა 12 ლარი ღირს, ფითხი (ე.წ. შპაკლი) – 16 ლარი, გაჯის ფასი 7 ლარის ფარგლებში მერყეობს.

ბინის მფლობელები ამბობენ, რომ სამშენებლო მასალები ძალიან ძვირია და ხარჯი დაგეგმილზე ძვირი ჯდება. ცალკე პრობლემაა ხელოსნის მომსახურების საფასური, რომელიც ბოლო დროს 30%-ით გაიზარდა. ბინის მფლობელები ხელოსანს ნაცნობობით ირჩევენ, რაც მომსახურების ხარჯს მცირედით ამცირებს და სანდოობას მატებს.

ნინო ბეჟანიშვილმა ბინაში სარემონტო სამუშაოები ერთი თვის წინ დაიწყო, თუმცა, როგორც თავად ამბობს, ამ ერთ თვეშიც ზოგიერთი მასალა გაუძვირდა.

– ყველაფერი იმდენად გაძვირდა, ხარჯებს ველარ ავუდივარ. ჩემი ბინა სულ 65 კვადრატულია, ორი თვის წინ დავასრულე შეკიდული ჭერის შეკეთება, რაშიც 2.500 ლარი გადავიხადე. ბოლო ერთი თვეა, გაძვირდა ხელოსნის მომსახურების ხარჯიც, 1 კვადრატულ მეტრში 10 ლარის გადახდა მომიწია, მაშინ, როცა ორი თვის წინ მისი ფასი 7 ლარს შეადგენდა. ყველაფერი ძალიან ძვირია, რაც ხელფასზე დამოკიდებული ადამიანისთვის ძალიან რთულია, – ამბობს ნინო ბეჟანიშვილი.

როგორც ბინის მფლობელები აცხადებენ, ერთოთახიან ბინაში კოსმეტიკური რემონტი 4.000 ლარამდე ჯდება, რომელიც პარკეტის დაგებასა და სხვა ძვირადღირებული სამუშაოების შესრულებას არ ითვალისწინებს.

სანტექნიკის ფასი 2500 ლარამდე მერყეობს, სერიოზული სარემონტო სამუშაოების წამოსაწყებად (50-60კვ.მ), მინიმუმ 12.000 ლარი უნდა გქონდეს.

**თიკო გურაშვილი, ბიპიენი**

## „ომეგა ჯგუფის“ სიგარეტის ფაბრიკა დაიხურა

ომეგა OMEGA

„ომეგა ჯგუფის“ სიგარეტის ფაბრიკა დაიხურა. ამის შესახებ ბიპიენისთვის კულუარულად გახდა ცნობილი.

როგორც კომპანიის კადრების განყოფილებაში გვითხრეს, სიგარეტის ფაბრიკაში ამჟამად რეორგანიზაცია მიმდინარეობს და გარკვეული პერიოდის შემდეგ ისევ გაიხსნება.

სიგარეტის ფაბრიკა „ოჯთ“ მრავალპროფილიანი ბიზნესკორპორაცია „ომეგა ჯგუფში“ შემავალი, სიგარეტების მწარმოებელი კომპანიაა, რომელიც ათამდე დასახელების სიგარეტს აწარმოებს.

ბიზნესკორპორაცია „ომეგა ჯგუფი“ საქართველოში 1997 წლიდან საქმიანობს და, ადგილობრივად სიგარეტის წარმოების გარდა, თანამშრომლობს ცნობილ საერთაშორისო ბრენდებთან, მათ შორის „ფილიპ მორისთან“ და ცნობილი ბრენდების სიგარეტის იმპორტსაც ახორციელებს.

სიგარეტის ფაბრიკა დახურვის შესახებ დეტალური ინფორმაციისთვის ბიპიენი „ოჯთის“ ფაბრიკის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერს დაუკავშირდა.

ბიპიენს კომპანიაში უთხრეს, რომ შეკითხვებზე პასუხს წერილობითი სახით მიაწვდიან.

**ბიპიენი**

# „მემარცხენე ალიანსი“ 400.000.000 ლარის გამოყოფას ითხოვს

პოლიტიკური გაერთიანება „მემარცხენე ალიანსი“ სახელმწიფო ბიუჯეტიდან 400 მილიონამდე ლარის გამოყოფას მოითხოვს, რომელიც პენსიების 40-ლარიან ზრდას უნდა მოხმარდეს. ამის შესახებ პარტიის ლიდერმა პაატა ჯიბლაძემ საგანგებოდ გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

ჯიბლაძის თქმით, 2016 წლის ბიუჯეტში 57 მილიონი ლარი მთავრობის წევრების ხელფასებზე გათვალისწინებულია მაშინ, როცა მთავარ საფინანსო დოკუმენტში არც პენსიების ზრდაა დაგეგმილი და არც „მემარცხენე ალიანსის“ ინიციატივა – საყოველთაო ჯანდაცვის დაფინანსების ფარგლებში ჯანდაცვის სამინისტროს ბიუჯეტის გაზრდა.



**პაატა ჯიბლაძე:**

– პარლამენტის მიერ მთავრობისათვის დაბრუნებულ 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში, სამწუხაროდ, გათვალისწინებული არ არის არც პენსიების მომატება და არც ჩვენ მიერ დაყენებული ინიციატივა, რომელიც ითვალისწინებს ჯანდაცვის სამინისტროს ბიუჯეტის გაზრდას საყოველთაო ჯანდაცვის დაფინანსების ფარგლებში, რის შედეგადაც ჩვენი პენსიონერებისთვის უფასო გახდება პირველადი მოხმარების მედიკამენტები.

სამაგიეროდ, ბიუჯეტში გათვალისწინებულია 57 მილიონი ლარი – მთავრობის წევრების ხელფასის, ხოლო 15 მილიონი – მთავრობის სარეზერვო ფონდის ზრდისათვის, ასევე მილიონობით ლარი – ჩინოვნიკებისათვის კომფორტის შესაქმნელად. მოვითხოვთ, 10-მილიარდიან სახელმწიფო ბიუჯეტში გამოიყოს 400 მილიონამდე ლარი, რაც პენსიების 40 ლარით გაზრდასა და პენსიონერების მედიკამენტებით სრულ უზრუნველყოფას მოხმარდება.

**მედიანიუსი**

**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
**კონსულტაცია უფასოა!**
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: ალმაშენებლის 154.
„მწვანე ოფისი“.

# დავით დარჩიაშვილი: „რესპუბლიკელების საქმე არ არის, ვინ იქნება ნაცმოძრაობის ლიდერი!“

## „სააკაშვილისთვის მოქალაქეობის ჩამორთმევა ფორმალობა იქნება“

შორენა მარსაგიშვილი



შეუწყვეტენ თუ არა ყოფილ პრეზიდენტს საქართველოს მოქალაქეობას, რატომ არ უნდა ჩაერიონ რესპუბლიკელები ნაციონალების საშინაო საქმეებში, რას ურჩევენ ლევან ბერძენიშვილს? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი დავით დარჩიაშვილი ესაუბრება.

***– ლევან ბერძენიშვილის განცხადებით, მმართველ გუნდს უნდა, რომ ნაციონალურ მოძრაობას ექსპრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ჩამოშორდეს. ამაზე რას იტყვით?***

– რა უნდა ვთქვა, ლევან ბერძენიშვილმა გაახმოვანა ის მიზანი, რომელიც ხელისუფლებას აქვს. ბატონი ლევანის პარტიის იდეოლოგიიდან გამომდინარე. მისი მიზანი საქართველოში ლიბერალიზმის ხელშეწყობა უნდა იყოს. სხვა პარტიის ლიდერი ვინ იქნება, ეს თუ აქვს მიზნად დასახული, მაშინ ლევან ბერძენიშვილი ძალიან აცდენილა პარტიულ და სახელმწიფოებრივ მიზნებს.

***– თქვენ ამბობთ, პარტიულ მიზნებს ასცდაო, მისი მტკიცებით კი პარტიის ლიდერის ცვლილება რესპუბლიკური პარტიის დამახასიათებელი თვისება. გირჩევთ, მათ მიბაძოთ. ბერძენიშვილის თქმით, ყველა ყრილობაზე ისინი ახალ თავმჯდომარეს ირჩევენ.***

– კარგია, რესპუბლიკელები პარტიის ყველა ყრილობაზე ახალ თავმჯდომარეს რომ ირჩევენ, თუმცა, რბილად რომ ვთქვათ, მისი პარტიის ლიდერები და მიხეილ სააკაშვილი სხვადასხვა სიდიდეებია. ამ ქვეყანაში თანამედროვე სახელმწიფოში გარღვევა მიხეილ სააკაშვილის სახელს უკავშირდება.

***– რესპუბლიკელებისგან ელოდით ამას? სხვა მეოცნებეებისგან ამის მოსმენა, ალბათ, არც გაგიკვირდებოდათ.***

– ამ შემთხვევაში ლევან ბერძენიშვილს დავიწყებული აქვს თავისი თანამდებობა, პარტიის დანიშნულება და ევროპული პოლიტიკა. ის სააკაშვილის მიმართ, როგორც ფილოლოგი, ისე მსჯელობს. ეს მისი არჩევანია და, როგორც უნდა, ისე იმსჯელოს.

***– ხელისუფლებამ ყოფილი პრეზიდენტისთვის მოქალაქეობის შეწყვეტის პროცედურა დაიწყო. თქვენი აზრით, როგორ დასრულდება ეს პროცედურა?***

– ეს გახლავთ ფორმალობა. „ქართულმა ოცნებამ“ მიიღო გადაწყვეტილება, რომელიც იგნორირებას უკეთებს როგორც საერთაშორისო, ასევე შიდაპოლიტიკურ რეალობას. ეს ფორმალობა ფორმალობად დარჩება, რადგან ეს ხელისუფლება პოლიტიკური სცენიდან მალე გაქრება.

***– სააკაშვილი თუ დარჩება ნაციონალური მოძრაობის ლიდერად?***

– რაც არ უნდა ეცადოს ხელისუფლება, მე ვფიქრობ, ის ჩვენი პარტიის ლიდერად დარჩება. შეიცვლება თუ არა პარტიის ლიდერი, ეს მხოლოდ მიხეილ სააკაშვილზეა დამოკიდებული.

კარგი იქნებოდა, თუ ლევან ბერძენიშვილი „ქართული ოცნების“ ქმედებებს შეაფასებდა, რომელიც ავლაბრის რეზიდენციიდან პრეზიდენტის გამოსახლებას აპირებს. ეს უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე იმაზე მსჯელობა, თუ ვინ იქნება ამა თუ იმ პარტიის თავმჯდომარე. რესპუბლიკელების საქმე ნამდვილად არ არის, ვინ იქნება ნაციონალური მოძრაობის ლიდერი.

***– ამაზე ლევან ბერძენიშვილმა გააკეთა შეფასება და განაცხადა, რომ ის გიორგი მარგველაშვილის გამოსახლებას მხარს არ უჭერს.***

– კარგია, ასე თუ ფიქრობს, მაგრამ მაინც ჯობია, ამ თემაზე უფრო ბევრი ისაუბროს, ისაუბროს იმაზე, როგორ ერჩიან ხელისუფლება და ქვეყნის არაფორმალური ლიდერი პრეზიდენტს. კარგი იქნება, თავის მოსაზრებას არაფორმალურ მმართველზეც თუ გაგვიზიარებს.

მიხეილ სააკაშვილი გახლავთ ცნობილი პოლიტიკოსი და ოპოზიციური პარტიის ლიდერი. არაფორმალური მმართველი ფორმალურად თითქოს არავინაა, მაგრამ 7 მილიარდისა და ეფესბეს მსახურების წყალობით საქართველოს ხელისუფლებას აკონტროლებს. ეს არის ქვეყნის მთავარი უბედურება, აქედან მოდის ის, რომ ხალხის მიერ არჩეულ პრეზიდენტსაც კი ერჩის რიგითი მოქალაქე.

***– თქვით, რომ მხოლოდ სააკაშვილის გადასაწყვეტია, შეიცვლება თუ არა ნაციონალური მოძრაობის ლიდერი. თუ მას საქართველოს მოქალაქეობა შეუწყვიტეს, რანაირად იქნება პარტიის ლიდერი? თეა წულუკიანი გვპირდება, რომ პროცედურა დეკემბრისთვის დასრულდება.***

– წულუკიანი ახმოვანებს იმას, რაც ივანიშვილმა გადაწყვიტა. მათგან ადამიანს კარგი საქმე უნდა გაუკვირდეს, თორემ სააკაშვილისთვის მოქალაქეობის შესაწყვეტად ყველაფერს გააკეთებენ. ვიცით, რომ ეს ხელისუფლება ყველაფერზე წავა, ასე რომ, როგორც ერთი ქართული ანდაზა ამბობს, ვირისგან წიხლი არ უნდა გვეწყინოს.

***– ასეთი მკვეთრი შეფასებები არ გახასიათებთ და, რადგან გამოიყენეთ, ეტყობა, ძალიან გაბრაზებული ხართ.***

– გაბრაზებული მართლა ვარ, მაგრამ შეურაცხყოფას არავის ვაყენებ. ხალხური გამოთქმა გამოვიყენე ამ ხელისუფლების, როგორც რაღაცის განმასახიერებლის, მიმართ. ეს რაღაცა უნიათობა და ბოროტებაა ერთდროულად, ასევე – შური და ღვარძლი. ასეთი ხელისუფლებისგან არაფერი უნდა გეწყინოს. გასაკვირი ის იქნებოდა, ასე რომ არ მოქცეულიყვნენ. არა უშავს, ეს წყალიც ჩაივლის.

***– და მაინც, რას იზამს პარტია, თუ მიხეილ სააკაშვილს საქართველოს მოქალაქეობა შეუწყდა? საქართველოს კანონით, უცხო ქვეყნის მოქალაქეებს საქართველოში პარტიული საქმიანობის უფლება არ აქვთ.***

– მოქალაქეობის შეწყვეტას კანონიერად გავივლით და გადავიტანთ და რეალობა იქნება ისეთი, როგორიც ახლაა. მიხეილ სააკაშვილი, ყველაფრის მიუხედავად, ძალიან გავლენიან ადამიანად დარჩება, შეწყვეტილი მოქალაქეობაც კანონიერად აღდგება ან სხვა კანონიერ გამოსავალს ვიპოვით. ნაციონალური მოძრაობა კანონის წინააღმდეგ არასდროს წასულა და არც ამ შემთხვევაში წავალთ.

ეკონომიკა

# ბილაინი კავკასუს ონლაინის საცალო ბიზნესის შეძენას გეგმავს

კომპანია ბილაინი აპირებს კავკასუს ონლაინის ყიდვას შავ ზღვაში არსებული მაგისტრალური კაბელის გარეშე.

გაზეთ „ბანკები და ფინანსების“ ინფორმაციით, იგეგმება კავკასუსის რეორგანიზაცია ერთი მხრივ სატრანზიტო მაგისტრალური კაბელის (საბითუმო ბიზნესი) და მეორე მხრივ, ტელევიზიის, სამომხმარებლო ინტერნეტის და ტელეფონის (საცალო ბიზნესი) გამიჯვნის გზით.

შემდგომში ბილაინი შეიძენს მხოლოდ საცალო ბიზნესს, ხოლო საბითუმო ბიზნესი (შავი ზღვის მაგისტრალური კაბელი) ისევ კავკასუს ონლაინის საკუთრებაში დარჩება.

„ბანკები და ფინანსების“ ინფორმაციით, კომპანიები აღნიშნული გარიგების შესახებ აპირებენ მარეგულირებელ კომისიას მიმართონ.

იმის შესახებ, რომ ვიმპელკომი (ბილაინის მფლობელი კომპანია) კავკასუს ონლაინის შესყიდვითაა დაინტერესებული, რამდენიმე დღის წინ „კომერსანტთან“ საუბარში კავკასუს ონლაინის ყოფილმა მფლობელმა მამია სანადირაძემ განაცხადა.

მისი შეფასებით, ეს იქნება კატასტროფა ქართული კავშირგაბმულობისა და ქვეყნის უსაფრთხოებისთვის, ვინაიდან, ის ერთადერთი კაბელი, რომელიც მან კავკასუს ონლაინის მფლობელობის დროს გაიყვანა საქართველოსა და ევროპას შორის შავი ზღვის ფსკერზე, რათა საქართველოს ჰქონოდა დამოუკიდებელი კავშირგაბმულობა ევროპასთან და მთელს მსოფლიოსთან, რუსეთის გვერდის ავლით, შეიძლება რუსეთის ხელში აღმოჩნდეს.

– თუ ვიმპელკომი შეიძენს კავკასუს ონლაინს, ჩათვალეთ, რომ აღმოვჩნდებით სიტუაციაში, როგორშიც ვიყავით საბჭოთა კავშირის დროს, როცა მოსკოვი აკონტროლებდა ყველა ჩვენს ზარს, – განაცხადა სანადირაძემ.

13 ნოემბერს კი გაზეთ „ბანკები და ფინანსებისთვის“ ცნობილი გახდა, რომ საუბარია მხოლოდ კავკასუსის საცალო ბიზნესის შეძენაზე.

აქვე შეგახსენებთ, რომ რამდენიმე დღის წინ მაგთიკომის მიერ კავკასუს ონლაინის წილების შესყიდვაზე კომუნიკაციების კომისიამ საბოლოო გადაწყვეტილება ვერ მიიღო.

ამის მიზეზი კომპანიების მხრიდან კომისიისათვის წარმოდგენილი ინფორმაციის ნაწილობრივ კომერციულ საიდუმლოებად ცნობის მოთხოვნა გახდა. თუმცა კომისია აგრძელებს კვლევას და მსჯელობას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

კავკასუს ონლაინისა და სილქნეტის შერწყმის საკითხი კი ამ ეტაპზე ჩაიშალა.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ კომპანიების ერთობლივი განცხადება წილების შერწყმის თაობაზე განუხილველად დატოვა. მიზეზი კი ისაა, რომ სილქნეტმა და კავკასუსმა შესაბამისი დოკუმენტაცია ვადაში არ წარადგინეს, რისთვისაც მათ თითქმის 3 თვე ჰქონდათ.

ვიმპელკომს ეკუთვნის საქართველოში ბილაინის ბრენდით მოქმედი საკომუნიკაციო კომპანია მობიტელი.

ვიმპელკომის მიერ მობიტელში განხორციელებული ინვესტიციის ოდენობა რამდენიმე წელია, რუსეთიდან შემოსულ ყველაზე მსხვილ ინვესტიციებს შორისაა.



# უკრაინის პოლიციის შიდა უსაფრთხოების დეპარტამენტს გიორგი გრიგალაშვილი უხელმძღვანელებს

ქვეყნის ეროვნული პოლიციის შიდა უსაფრთხოების დეპარტამენტს გიორგი გრიგალაშვილი უხელმძღვანელებს. უკრაინის პრეზიდენტმა პეტრო პოროშენკომ გრიგალაშვილს უკრაინის მოქალაქეობა უკვე მიანიჭა.

– თქვენ აჩვენეთ საქართველოს სამართალდამცავი სისტემის რეფორმის შედეგი საქართველოში და უნდა აჩვენოთ შედეგი უკრაინაშიც. თქვენი პროფესიონალიზმისა და პატიოსნების იმედი მაქვს, – განუცხადა გრიგალაშვილს პოროშენკომ.

გიორგი გრიგალაშვილი საქართველოს საპატრულო პოლიციას 2006-2012 წლებში ხელმძღვანელობდა.

**ნსპ.გე**

**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
**ქალბატონი ქეთათო**

# ვენაში სირიის კონფლიქტის მოგვარების გეგმა შეიმუშავეს

14 ნოემბერს ვენაში რუსეთ-აშშ-გერმანია-საფრანგეთის საგარეო უწყებების პირველი პირები ერთმანეთს შეხვდნენ.



აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ქერიმ წარმოადგინა კონკრეტული გეგმა, რომელიც სირიის კონფლიქტის დარეგულირებას ითვალისწინებს.

თანახმად ამ გეგმისა, ასადი უკვე მომავალი წლის იანვრიდან მოვალეა, სირიის ზომიერ ოპოზიციასთან მოლაპარაკებები დაიწყოს. ამის შემდეგ უნდა შეიქმნას დროებითი გარდამავალი მთავრობა, რომელიც ახალ საარჩევნო კანონსა და კონსტიტუციას შეიმუშავებს.

ჩატარდება არჩევნები და ამის შემდეგ გადაწყდება, ვინ იქნება სირიის ხელისუფალი.

თავად ასადის საკითხზე შეთანხმების მიღწევა კვლავაც ვერ მოხერხდა. რუსული მხარე მოითხოვს, რომ ასადი გარდამავალ მთავრობას სათავეში ჩაუდგეს და არჩევნების დასრულებამდე სახელმწიფოს მეთაურად დარჩეს. ამერიკელები კი ასადის წასვლას მოითხოვენ.

# დონბასში მსხვერპლის რაოდენობა იზრდება

14 ნოემბერს სეპარატისტებმა და რუსმა ჯარისკაცებმა დონბასში უკრაინელთა პოზიციებზე მორიგი იერიში მიიტანეს.

ცხარე შეტაკებები მოხდა ავდეევკასთან.

ბრძოლის შედეგად მოკლულია 12 რუსი ჯარისკაცი და



სეპარატისტი. უკრაინელების დანაკარგია 6 მოკლული.

ლუგანშჩინის უკრაინული სამხედრო ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა გიორგი ტუკამ ხაზი გაუსვა, რომ მსხვერპლის რაოდენობა დღითიდღე იზრდება.

– არავითარი სამშვიდობო შეთანხმება არ სრულდება, არავითარი მძიმე ტექნიკის გაყვანას ადგილი არა აქვს, – ამბობს ტუკა.

მისი აზრით, პუტინისეული მინსკის სამშვიდობო პროექტი ჩაიშალა. ასეთ სიტუაციაში არჩევნებზე ან დონბასისთვის რაიმე სტატუსის მინიჭებაზე ლაპარაკიც კი გამორიცხულია.

– დონბასში ახალი ესკალაცია დაიწყო, – თქვა ტუკამ.

# სუვოროვი: „ყოფილი სსრკ-ის ყველა რესპუბლიკა ფხიზლად უნდა იყოს“



ცნობილი მწერლისა და გრუ-ს ყოფილი ოფიცრის ვიქტორ სუვოროვის აზრით, პუტინმა სირიაში მცდარი ტაქტიკა აირჩია. მან აქცენტი არა ტერორისტების განადგურებაზე, არამედ ასადის ხელისუფლებაში დარჩენაზე გააკეთა. ამის განხორციელება კი შეუძლებელია:

– ასადს მხარს მხოლოდ მოსახლეობის 16% უჭერს. ისინი ძირითადად ლატაკიელები არიან, – ამბობს სუვოროვი.

გრუ-ს ექსოფიცრის აზრით, ასევე განუხორციელებელია პროექტი „ლატაკია“ ანუ ლატაკიის პროვინციის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადება და მის სათავეში ასადის დაყენება. ლატაკიაშია რუსული ბაზა მდებარეობს, ამიტომ კრემლში ეს ვარიანტი სერიოზულად განიხილება, მაგრამ ესეც ისეთივე უტოპიაა, როგორიც ხელისუფლებაში ასადის დატოვება.

– ამას როგორც საერთაშორისო თანამეგობრობიდან, ასევე არაბული სახელმწიფოებიდან მწვავე რეაქცია მოჰყვება. დღევანდელ რუსეთს კი არ გააჩნია არც ფიზიკური, არც მორალური სახსრები საიმისოდ, რომ ლატაკია შეინახოს, – ამბობს სუვოროვი.

მისი აზრით, პუტინს სირიიდან ჯარის გამოყვანა მოუწევს. მარცხი რუსეთში შექმნილ მძიმე მდგომარეობას კიდევ უფრო დაამძიმებს. პუტინიც ხალხის ყურადღების სხვა საგანზე გადატანას შეეცდება და ახალ სამხედრო ავანტიურებს წამოიწყებს.

– მე არ ვამტკიცებ, რომ აუცილებლად ასე იქნება, მაგრამ მოვლენების ამ სცენარით განვითარებაც არ უნდა გამოვრიცხოთ, – ამბობს სუვოროვი.

მისი აზრით, პუტინის ახალი აგრესია ამჯერად ყოფილი სსრკ-ის რესპუბლიკების წინააღმდეგ იქნება მიმართული. დაზღვეული არავინ არის, მათ შორის არც ბალტიისპირეთის რესპუბლიკები, რომლებიც ევროკავშირისა და ნატოს წევრები არიან.

ყოფილი მზვერავი პოსტსაბჭოური სივრცის ყველა რესპუბლიკას სიფხიზლისა და კონსოლიდაციისაკენ მოუწოდებს:

– რადგან არსებობს თუნდაც ერთი პროცენტი საფრთხე იმისა, რომ პუტინი შესაძლოა რომელიმე ქვეყანაში შეიჭრას, აუცილებელია სიფხიზლე და კონსოლიდაცია! – ამბობს სუვოროვი.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

## კალეიდოსკოპი



# მეორე მსოფლიო ომის ვეტერანი თანამებრძოლ ქალს ინტერნეტით დაუკავშირდა

ამერიკის ვირჯინიის შტატის მცხოვრებმა მეორე მსოფლიო ომის ვეტერანმა ნორვუდ ტომასმა თავისი ახალგაზრდობის სიყვარული 71-წლიანი განშორების შემდეგ პირველად ნახა. ყოფილმა ექთანმა, 88 წლის ჯოის მორისმა, მამაკაცი ინტერნეტში გამოქვეყნებული სტატიის წყალობით იპოვა და შვილს მასთან დაკავშირება სთხოვა.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მორისმა, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ ავსტრალიაში გადავიდა საცხოვრებლად, ახალ ამბებში იხილა შეტყობინება ვეტერანზე, რომელიც რამდენიმე წლის წინ პარაშუტით გადმოხტა და რომელიც შესანიშნავად სარგებლობს ინტერნეტით. ყოფილი შეყვარებული ქალმა ძველი ფოტოსურათებით იცნო და შვილს მისი მოძებნა სთხოვა. რამდენიმე დღის შემდეგ 93 წლის ტომასმა და 88 წლის მორისმა ომის შემდეგ პირველად ნახეს ერთმანეთი და სკაიპის დახმარებით ისაუბრეს.

21 წლის ტომასი 17 წლის ჯოისს 1944 წლის გაზაფხულზე ლონდონში შეხვდა. მათ ერთად რამდენიმე თვე გაატარეს, მაგრამ შემდეგ ნორვუდი საფრანგეთში გააგზავნეს, ხოლო ომის დასრულების შემდეგ სამშობლოში დაბრუნდა. ახალგაზრდები გარკვეული დროის განმავლობაში ურთიერთობის შენარჩუნებას ახერხებდნენ და ნორვუდმა შეყვარებულს მასთან გადასვლა და დაქორწინებაც კი შესთავაზა, მაგრამ მორისმა უარი უთხრა და ამის მიზეზად ის დაასახელა, რომ სწავლა ახალი დაწყებული ჰქონდა.

– მაშინ მივხვდი, რომ ჩემი გრძნობა მის მიმართ უფრო დიდი იყო, ვიდრე მისი ჩემ მიმართ, – განაცხადა ვეტერანმა. ამის შემდეგ წყვილმა ურთიერთობა შეწყვიტა.

ახლა კი ნორვუდი და მორისი შეთანხმდნენ, რომ ინტერნეტის დახმარებით ყოველდღე შეხვდებიან ერთმანეთს, ხოლო თუ ამერიკელ ვეტერანს ჯანმრთელობა ხელს შეუწყობს, ყოფილ შეყვარებულს ავსტრალიაში ჩააკითხავს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


# ტიტანის სამკურნალო მაგნიტური სამაჯური



სამაჯური ხასიათდება უნიკალური სამკურნალო და გამაჯანსაღებელი თვისებებით.ჩატარებული მეცნიერული კვლევების შემდეგ 2005 წელს ევროპამ და 2006 წელს ამერიკამ აღიარეს, როგორც 21 საუკუნის პროდუქტი. ჩვენება არეგულირებს არტერიულ წნევას. ხსნის სტრესს, დაღლილობას, სახსრებისა ხერხემლისა და თავის ტკივილს. აწესრიგებს ძილს, იმუნურ სისტემას. ხელს უშლის კიბოს უჯრედების განვითარებას. არეგულირებს ქოლესტერინის დონეს სისხლში. აძლიერებს ნაწლავურ ფლორას, არეგულირებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას, ამაღლებს ტონუსს, აქვს ძლიერი ანტიოქსიდანტური მოქმედება, გვარდება ნევროზები, გამოაქვს ორგანიზმიდან „შლაკები“, მარილები, წამლისგან დარჩენილი ნივთიერებები, მისი ყოველდღიური მოხმარება არეგულირებს მეტაბოლიზმს (ნივთერებათა ცვლა). გაჯანსაღების გზით ხდება წონის კორექცია, გვარდება ნევროზები, პოტენცია, ადამიანი ხდება ენერგიული, ეხსნება ქრონიკული დაღლილობის შეგრძნება და ა.შ.

ის იწყებს ძიებას ორგანიზმში რა არის დაზიანებული, თვითონ აგნებს და ზუსტად იქიდან იწყებს მოგვარებას. მას აგრეთვე უწოდებენ „მაგიურ სამაჯურს“

დაახლოებით 10 წუთში თქვენ ნათლად გრძნობს სითბოს ან ჩხვლეტას მაჯაზე. თუმცა, ზოგიერთი ადამიანი, გრძნობს რამდენიმე საათის ან 2-3 დღის შემდეგ. რამდენიმე დღეში იგრძნობთ რომ შეგიმსუბუქდათ ტკივილები, რომელიც წლების განმავლობაში გაწუხებდათ. სამაჯურის მუდმივად მოხმარების შემდეგ კი უკვალოდ ქრება. ტიტანის სამაჯურის მოხმარების შემდეგ პაციენტს აღარ სჭირდება ზედმეტი წამლები.

შემადგენლობა ტიტანის სამაჯაურში ჩასმულია სამედიცინო მაგნიტი. (ნეოდიმი). ნეოდიმი მაგნიტებს შორის არის ყველაზე ძლიერი მუდმივი მაგნიტი.

არ ახასიათებს გვერდითი მოვლენები, მწარმოებელი ქვეყანა გერმანია. მიწოდება შესაძლებელია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ბინაზე. ფასი 50 ლარი.

**მისამართი: ქ.თბილისი, ვაჟა ფშაველას 79. ტელ: 2 182 186.**
**შეკვეთები მიიღება ნომერზე: 579 885 996.**


# მაღალქუსლიანი ფეხსაცმლით ბაგირზე

ბრაზილიაში გამართული ბაგირზე მოსიარულე ქალების ფესტივალის დროს 26 წლის ვერა დიკიმ ამერიკის ტეხასის შტატიდან მაღალქუსლიანი ფეხსაცმლით გაიარა ბაგირზე, რომელიც 840 მეტრის სიმაღლეზე, პედრა-და-გავეას კლდის მახლობლად იყო გაჭიმული.



„უშიშარმა“ ამერიკელმა დამაჯერებლად ბაგირზე გადაიარა. ამ დროს მას ფეხზე ღია ვარდისფერი ფეხსაცმელი ეცვა და მხოლოდ ერთი დამზღვევი თოკი ეკეთა.

– ეს რიოში ჩემი პირველი მცდელობა იყო, ამასთან, შესანიშნავი ხედი გახლდათ. ეს მართლაც სულის შემძვრელი მომენტია, როდესაც მთელ ქალაქს ზევიდან გადაჰყურებ, უყურებ პლაჟს და, ამავე დროს, მთების დონეზე იმყოფები, – განაცხადა ამერიკელმა გოგონამ.

– ეს მცდელობა ადრინდელზე გაცილებით რთული აღმოჩნდა, ვინაიდან ბაგირი უფრო გრძელი იყო, ხოლო ფეხსაცმელი – პატარა ზომის. ამიტომ იდეალური ფეხსაცმლის ძებნა, რომელსაც იდეალური სიმაღლის ქუსლი ექნება, ისევ გრძელდება, – დაამატა ვერა დიკიმ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


# განცხადებები

## ვასწავლი

● პროფესიონალი გიტარისტი და მომღერალი შევასწავლი გიტარაზე და ფანდურზე დაკვრას და სიმღერას ხმის დამუშავებით (მათ შორის, დაბალი სმენითი მონაცემების მსურველებსაც – რეალური შედეგით), კარგი მონაცემების შემთხვევაში საინტერესო პერსპექტივით სცენასთან დაკავშირებით. მიმდინარეობს შევსება, ასაკი შეუზღუდავია. ტელ: 599-72-00-42; 558-35-39-60; 279-07-72.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

## მკურნალობა

● „ალკოჰოლიზმი“, „პახმელია“, „ზაპოი“, ღვიძლის გაწმენდა ალკოჰოლური ტოქსინისაგან (შეგიძლიათ ფარულად საკვებში შერევა). თამბაქოს მწეველობის მიტოვება, ნერვული სტატუსის მოწესრიგება – მხოლოდ მცენარეული, უსაფრთხო პრეპარატებით, მაღალი შედეგებით 555-45-13-45 599-02-11-46. სულხანი.

● ალკოჰოლიზმისაგან გარანტირებული განკურნება მცენარეული, უსაფრთხო პრეპარატებით. ფერმენტ ალკოჰოლდეჰიდროგენეზის მიერ ხდება „პახმელიის“, თავის ტკივილის, თავბრუსხვევის, პირღებინების, ტრემორის (კანკალის), ტაქიკარდიის, ოფლიანობის, უძილობის, აგრესიულობისა და ალკოჰოლური დამოკიდებულების მოხსნა. შედეგები პირველივე დღიდან. შეგიძლიათ შეურიოთ ფარულად საკვებში. ტელ: 557-14-22-36; 597-92-07-05. ნინო ექიმი.

● სმენის აღდგენა სწრაფად, წამლების, აპარატურისა და ოპერაციის გარეშე, გამომწვევი მიზეზისა და ასაკის მიუხედავად. პაციენტები მიიღებიან მხოლოდ წინასწარი ჩაწერით. ფასი 300 ლარი. მის: დიდი დიღომი, III მ/რ, კორპუსი 20. ტელ: 599-97-85-46 ლევანი.

● ფოტოსურათით მოგიხსნით: ალკოჰოლსა და აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას,პათოლოგიურ სიმთვრალეს, აგრესიას, აკვიატებულ აზრებსა და ქმედებებს, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, ჩაკეტილობას, დაძაბულობას, აფორიაქებას, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას, დეპრესიას. ვმუშაობ ბავშვებზეც. გამოცდილება 35-წლიანი, შედეგი გარანტირებული, გიწვევთ სკეპტიკოსებსაც და იმედგაცრუებულებსაც. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა.შპს „იადიგარ დაუდის“ დირექტორი ნანა ქიბროწაშვილი. ტელ: 599-498-423 კონსულტაცია უფასოა.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

● მაღალკვალიფიციური ონკო-დერმატოლოგი უოპერაციოდ, წარმატებით მკურნალობს: ბაზალიომას, კერატომას, ჰიპერკერატოზს, მელანომას, გრანულომას, პაპილომას, ათერომას, კონდილომას, ჰემანგიომას, ხალებს, რთულ მეჭეჭებს, კოჟრებს (მაზოლებს), ქუთუთოებში ქოლესტერინის დაგროვებას, წანაზარდებს სასქესო ორგანოებზე და ყოველგვარ მსგავს ხორცმეტებს. გირჩევთ დროზე მოიშოროთ საშიში წარმონაქმნები! მის: რევაზ ლაღიძის 8 (ოპერის უკან), კლინიკა „მედიკომი“, კაბ. 322, მობ: 599-90-91-74.

● გამაჯანსაღებელი, ანტიცელულიტისა და სარელაქსაციო მასაჟი. ტელ: 555-25-95-68.

## იყიდება

● ან გირავდება ბინა 3 ოთახი დიღმის მასივში, 87 კვადრატული მეტრი. ძველი რემონტით, გეპეის კორპუსში, ან მთლიანად 186 კვადრატული მეტრი. ტელ: 568-00-22-20 თამარი.

## ნათელმხილველი

● ნათელმხილველი დარეჯანი ისრაელში მუშაობის შემდეგ მიღებას აგრძელებს თბილისში. მიღება წინასწარი ჩაწერით. აქვე მოიხსნით მრავალი სახის პრობლემას. ტელ: 555-75-90-62.

# სიონმა გადადებული მატჩი მოიგო

**ზუგდიდი – სიონი 1:3**

**ზუგდიდი. ბაიას ბაზა**

0:1 შალამბერიძე (27), 0:2 ვასაძე (45), 1:2 წყაროზია (63), 1:3 ისიანი (77)

**ზუგდიდი:** ჯომიდავა, ქანთარია, მალანია, თიბილაშვილი (ფიფია 74), ნარმანია, ჯავაშვილი, ტყემალაძე, წყაროზია, ლაშხია (ქირია 62), გ.სამუშია (ც.სამუშია 45), შულაია

**სიონი:** მერლანი, ფოფხაძე, სვანიძე, ჯაფიაშვილი, გაფრინდაშვილი, საჯაია, გოგობერიშვილი (კილასონია 67), შალამბერიძე (მიქაბერიძე 61), ისიანი, ვასაძე, ტატანაშვილი (უგულავა 46)

ზუგდიდმა უმაღლესი ლიგის მე-8 ტურის გადადებული მატჩი გაიმართა. ადგილობრივმა გუნდმა ბოლნისის სიონს უმასპინძლა და დამარცხდა.

ვარლამ კილასონიას შეგირდები ამ სეზონში კარგად გამოიყურებიან და ზუგდიდში გამარჯვება სულაც არ არის სენსაცია. სიონმა პირველივე ტაიმში გადაწყვიტა მატჩის ბედი, როდესაც მეტოქეს ორი უპასუხო გოლი გაუტანა. თავი ჯერ კობა შალამბერიძემ გამოიჩინა, ხოლო ტაიმის მიწურულს გიორგი ვასაძემ გაზარდა სხვაობა.

მართალია, შესვენების შემდეგ აკაკი წყაროზიამ ერთი ბურთი გაქვითა, მაგრამ 77-ე წუთზე ვილი ისიანმა ორბურთიანი ჰანდიკაპი აღადგინა, რაც მატჩის საბოლოო ანგარიში აღმოჩნდა.



ამ გამარჯვებით სიონმა მეორე ადგილზე გადაინაცვლა და ლიდერ თბილისის დინამოს მხოლოდ ორი ქულით ჩამორჩება.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო (თბ) | 11 | 9 | 1 | 1 | 30-9 | 28 |
| 2.სიონი | 11 | 8 | 2 | 1 | 25-10 | 26 |
| 3.დილა | 11 | 8 | 1 | 2 | 23-10 | 25 |
| 4.ცხინვალი | 11 | 7 | 1 | 3 | 25-16 | 22 |
| 5.სამტრედია | 11 | 6 | 1 | 4 | 25-15 | 19 |
| 6.შუქურა | 11 | 6 | 1 | 4 | 14-10 | 19 |
| 7.ჩიხურა | 11 | 5 | 2 | 4 | 14-8 | 17 |
| 8.საბურთალო | 11 | 5 | 1 | 5 | 16-18 | 16 |
| 9.დინამო (ბთ) | 11 | 4 | 4 | 3 | 19-13 | 16 |
| 10.კოლხეთი | 11 | 4 | 1 | 6 | 10-16 | 13 |
| 11.ლოკომოტივი | 11 | 4 | 1 | 6 | 16-17 | 13 |
| 12.ტორპედო | 11 | 3 | 3 | 5 | 14-21 | 12 |
| 13.გურია | 11 | 2 | 3 | 6 | 10-18 | 9 |
| 14.საპოვნელა | 11 | 2 | 2 | 7 | 9-25 | 8 |
| 15.ზუგდიდი | 11 | 1 | 2 | 8 | 11-32 | 5 |
| 16.მერანი | 11 | 1 | 0 | 10 | 9-32 | 3 |

# ევროპის პლეი ოფი: საპასუხო მატჩების წინ

**16.11 ირლანდია – ბოსნია 2.35 3.0 3.25**

**პირველი მატჩი 1:1**

ფრე ირლანდიის სასარგებლოდ. თუმცა, ბრიტანელებს მოგებაც შეეძლოთ, მაგრამ თავისი სიტყვა თქვა ედინ ჯეკომ. ერთია, ირლანდიას სტუმრად გატანილი ბურთი გარკვეულ ფორას აძლევს.

თავის მხრივ, კარგი გამოცდა იქნება ბოსნიის ნაკრებისთვის, რომელსაც გმირობების ჩადენა სჩვევია. ვნახოთ, რა იქნება ამჯერად მატჩში, რომელშიც ყველაფერია მოსალოდნელი – დამატებითი დროც და პენალტების სერიაც.

**17.11 დანია – შვედეთი 2.3 3.2 2.87**

**პირველი მატჩი 1:2**

მიუხედავად იმისა, რომ პირველ მატჩში შვედებმა იმარჯვეს, სკანდინავიურ დერბიში ინტრიგა დარჩა და ეს ინტრიგა იორგენსენმა დატოვა, რომელმაც ფორსბერგისა და იბრაჰიმოვიჩის გოლებს მე-80 წუთზე უპასუხა.

სტუმრად გოლი გატანილია, მაგრამ დანიელებს აშკარად აკლდათ თავდამსხმელი, რომელსაც დამაგვირგვინებელი დარტყმა შეუძლია, რასაც ვერ ვიტყვით შვედებზე.

**17.11 სლოვენია – უკრაინა 2.5 3.2 2.6**

**პირველი მატჩი 2:0**

საშინაო მატჩში უკრაინის ნაკრები მაქსიმალურად კონცენტრირებული გავიდა მოედანზე, რადგან სლოვენიელებთან კარგად ახსოვდათ ალიყური. ამჯერად ყვითლებმა ისე ითამაშეს, რომ მეტოქეს კარშიც კი არ დაარტყმევინეს.

უკრაინამ ორივე ტაიმში თითო გოლი გაიტანა (იარმოლენკო, სელეზნიოვი) და კარგი შანსი დაიტოვა საპასუხო მატჩის წინ.

სლოვენიელები კი ყველაფერს გააკეთებენ ჩამორჩენის აღმოსაფხვრელად.

# კალათბურთი: ლიდერთა ჯგუფი ერთით შემცირდა

**სოხუმი – დინამო 66:62**

**(23:18; 15:13; 11:15; 17:16)**

საქართველოს საკალათბურთო ჩემპიონატის 2 ლიდერი – დინამო და სოხუმი ერთმანეთს შეხვდნენ და, შესაბამისად, ლიდერთა ოთხეული ერთი გუნდით შემცირდა. ვაჟა კვარაცხელიას გუნდმა მეტოქეს 66:62 სძლია და ცხრილის სათავეში 2 გუნდთან ერთად დარჩა.

მატჩი დაძაბული გამოდგა. სოხუმელები უმეტეს ნაწილს იგებდნენ, ერთხანს 15 ქულითაც გავიდნენ წინ. ამერიკელი უკანახაზელი ფილიპ მილერი კვარაცხელიას გუნდისთვის კარგი შენაძენი გამოდგა, ხოლო ლევან ფაცაციას სახით სოხუმელებს დიდი ძალა შეემატათ.



ეროვნული ნაკრების წევრმა ფაცაციამ, რომელიც ტრავმირებული იყო, სოხუმელთა შემადგენლობაში ამ სეზონში პირველად ითამაშა და დებიუტი ორმაგი დუბლით აღნიშნა. უნივერსალმა ფორვარდმა 15 ქულა და 11 მოხსნა მიითვალა, თუმცა მან გონივრული თამაშით არანაკლები სამსახური გაუწია სოხუმს.

მიუხედავად სოხუმელთა ხანგრძლივი ლიდერობისა, დინამოელები არ ტყდებოდნენ და მესამე მეოთხედის ბოლოს ჩამორჩენა 1 ქულამდე შეამცირეს – 46:47. ბოლო პერიოდში მილერის და ფაცაციას შედეგიანობის ხარჯზე სოხუმი ისევ გაექცა მეტოქეს – 63:53. დინამომ ისევ გაიბრძოლა და მიხეილ ბერიშვილისა და გიორგი შარაბიძის ქულებით ჩამორჩენა 2-მდე შეამცირა. თუმცა, სოხუმელებმა ბოლოში სიზუსტე გამოიჩინეს და მატჩის ბედი საფინალო სირენამდე რამდენიმე წამით ადრე გადაწყდა.

გამარჯვებულთა ბომბარდირმა ფილიპ მილერმა 25 ქულა მიითვალა, ხოლო ფაცაციას ორმაგ დუბლზე ზემოთ მოგახსენეთ.

დინამოში ორმაგი დუბლით მიხეილ ბერიშვილი (15 ქულა, 10 მოხსნა) გამოირჩა, გიორგი შარაბიძის ანგარიშზე კი 16 ქულა დაგროვდა.

**ქუთაისი – ოლიმპი 71:64**

**(10:14; 29:24; 16:15; 16:11)**

გია კაზანჯიანის გაწვრთნილმა ოლიმპმა სუპერლიგის ლიდერთა შორის მყოფ ქუთაისს ტოლი არაფერში დაუდო და ერთხანს, მეორე პერიოდის შუაწელში, 9 ქულითაც (28:19) იგებდა, თუმცა სამქულიანები ის იარაღი გამოდგა, რამაც მასპინძლებს თამაში მოაგებინა.

სამჯერ, როცა ქუთაისელები რთულ სიტუაციაში აღმოჩნდნენ, მასპინძელთა გუნდმა ვითარებიდან გამოძრომა შორი სროლებით შეძლო. პირველი შემთხვევა ხსენებული მეორე პერიოდის შუაწელი იყო, როცა თბილისელები 28:19 დაწინაურდნენ. მასპინძლებმა სწრაფი თამაშით და სამქულიანებით ეს ჩამორჩენა მყისიერად აღმოფხვრეს და დიდ შესვენებაზე ქულიანი ლიდერობით გავიდნენ – 39:38.

მეორედ ეს მოხდა მესამე პერიოდის ბოლო წუთზე, როცა ოლიმპელები ზუსტი უკანახაზელის, ჯერემი ბაინუმის შედეგიანობით 53:49 დაწინაურდნენ, თუმცა გიორგი ბარბაქაძის მიჯრით ჩაგდებული 2 სამქულიანით მასპინძლები ბოლო შესვენებაზე ორქულიანი ლიდერობით გავიდნენ – 55:53.

ბოლოს, უკანასკნელი წუთები. შეხვედრის ბოლოსწინა წუთზე ანგარიში თანაბარი – 63:63 იყო, როცა რიჩარდ მათიაშვილის ორქულიანსა და ზუსტ საჯარიმოს იმავე ბარბაქაძემ სტუმართა წელში გამტეხი სამიანი მოაყოლა – 69:63 შეხვედრის დასრულებამდე 50 წამით ადრე.

დარჩენილ დროში ოლიმპმა ველარაფერი შეცვალა და საბოლოოდ ანგარიშით 64:71 წააგო.

ბოლოს სამქულიანების თანაფარდობაზეც ვთქვათ: ქუთაისელებმა 11 სამიანი ჩააგდეს, ოლიმპმა კი – 4.

გამარჯვებულებს ცენტრალურმა თავდამსხმელმა რიჩარდ მათიაშვილმა ულიდერა, რომელმაც 23 ქულას და 10 მოხსნას მოუყარა თავი, 14 ქულით დაასრულა შეხვედრა გიორგი ბარბაქაძემ, რომელმაც 4 სამიანი მიითვალა.

ოლიმპში 25 ქულით საუკეთესო იყო ჯერემი ბაინუმი.

**აკადემია – ბათუმი 56:72**

**(13:15; 19:18; 8:21; 16:18)**

აკადემია, რომელსაც მიმდინარე სეზონში გამარჯვება ჯერ ვერ მოუპოვებია, ბათუმელებს ტოლ-სწორად მხოლოდ პირველ ნახევარში ეთამაშა. თანაბრად მიმდინარე საწყისი 2 მეოთხედის განმავლობაში უმეტესად სტუმრები იგებდნენ, თუმცა ბათუმელთა უპირატესობა 2-3 ქულას არ სცდებოდა და დიდი შესვენებისთვისაც მინიმალური სხვაობა დაფიქსირდა: აჭარული გუნდი 33:32 იგებდა.

ვითარება რადიკალურად შეიცვალა მესამე პერიოდიდან, რომლის დებიუტში ბათუმელებმა მატჩის სადავეები მოიხელთეს და შეხვედრის დასრულებამდე აღარ გაუშვიათ. გუნდური თამაშის წყალობით, დავით უსტიაშვილის გაწვრთნილმა ბათუმმა მესამე მეოთხედი 21:8 მოიგო და მატჩის ბედიც, ფაქტობრივად, გადაწყვიტა.

აკადემიამ, რომელსაც ძირითადად ლეგიონერები – ბელარუსი ვლადიმერ კრისევიჩი და ამერიკელი დეანდრე მეისი ლიდერობდნენ, ბოლო მეოთხედში ვითარების შეცვლა ვერ მოახერხა. ბათუმი აუღელვებლად მივიდა გამარჯვებამდე და სუპერლიგის ლიდერთა შორის ადგილი გაიმყარა.

აჭარულ გუნდს 16 ქულით და 14 მოხსნით აკაკი დვალიშვილმა ულიდერა. 16 ქულა და 10 მოხსნა მოაგროვა უკრაინელმა იგორ კრივცოვმა.

აკადემიაში 23 ქულითა და 10 მოხსნით კრისევიჩი გამოირჩა, ამერიკელმა დეანდრე მეისმა კი 13 ქულა მოაგროვა.

**მგზავრები – რუსთავი 76:85**

**(17:19; 15:24; 21:17; 23:25)**

ცხრილის ქვედა ნაწილში გვერდიგვერდ მყოფი გუნდები შეხვდნენ, ამიტომაც მატჩს პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა.

მატჩი კი ისეთი გამოვიდა, რომ არც დაძაბული ეთქმოდა და არც – უინტერესო. რუსთაველებმა მატჩის პირველივე წუთზე რომ მოიპოვეს ლიდერობა, მეტოქე ველარ დაეწია.

მატჩის შუაწელში რუსთაველები დამაჯერებლად ლიდერობდნენ. სერბი ლეგიონერის ნიკოლა გაჩეშას შედეგიანობის ხარჯზე ქვემოქართლურმა გუნდმა ლიდერობა იოლად მოიპოვა. სერბს მხარს კარგად უბამდნენ გიორგი გამყრელიძე, მიხეილ ჭოჭუა, ბექა წივწივაძე და ამერიკელი კაილ ტურპინი. ამ მოთამაშეებისა და, ზოგადად, გუნდური თამაშის წყალობით რუსთავი ბოლო მეოთხედამდე ხელჩასაჭიდი ლიდერობით მივიდა.

მატჩის დასრულებამდე 3,30 წუთით ადრე რაშად რენსომის გარღვევის შემდეგ თბილისელები მეტოქეს 4 ქულით მიუახლოვდნენ, თუმცა გაჩეშას მიჯრით მითვლილი 5 ქულის შემდეგ გამარჯვებულის ვინაობა რუსთაველთა სასარგებლოდ გადაწყდა.

26 ქულითა და 13 მოხსნით საუკეთესო იყო ნიკოლა გაჩეშა, 13 ქულა და 16 მოხსნა ჰქონდა კაილ ტურპინს, ხოლო გამყრელიძეს სამმაგ დუბლამდე მცირედი დააკლდა – 10 ქულა, 10 პასი და 9 მოხსნა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.ბათუმი | 5 | 4 | 1 | 387:345 | 9 |
| 2.ქუთაისი | 5 | 4 | 1 | 396:355 | 9 |
| 3.სოხუმი | 5 | 4 | 1 | 368:315 | 9 |
| 4.დინამო | 5 | 3 | 2 | 332:335 | 8 |
| 5.რუსთავი | 5 | 2 | 3 | 372:399 | 7 |
| 6.ოლიმპი | 5 | 2 | 3 | 363:353 | 7 |
| 7.მგზავრები | 5 | 1 | 4 | 337:365 | 6 |
| 8.აკადემია | 5 | 0 | 5 | 339:427 | 5 |

# ფაჩულიას ორი მოგება და საუკეთესოს ტიტული

მორიგი დიდებული მატჩი შემოგვთავაზა ზაზა ფაჩულიამ. საქართველოს ნაკრების კაპიტანმა, რომელიც ნბა-ს კარიერის რიგით მე-13 წელს ლიგის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდ დალას მავერიკსში ატარებს, სეზონის მე-5 ორმაგი დუბლი შეასრულა და ტეხასელებს ლოს ანჯელეს ლეიკერსი დაამარცხებინა.

კალიფორნიელებთან ზაზამ მიმდინარე სეზონის საუკეთესო მატჩი ჩაატარა და დამსახურებულად დასახელდა მატჩის საუკეთესო მოთამაშედ. ის ორივე გუნდში გამორჩეული იყო და მატჩის ბედის გადაწყვეტაში მთავარი როლი შეასრულა.

მოედანზე არაერთი სუპერვარსკვლავი (კობი ბრაიანტი, დირკ ნოვიცკი, დერონ უილიამსი) და, უბრალოდ, ძალიან მაგარი მოთამაშე (როი ჰიბერტი, ჩენდლერ პერსონსი, ვესლი მეთიუზი, მეტა უორლდ ფისი) იდგა, თუმცა კომენტატორებმა ყველაზე მეტჯერ ქართველი კალათბურთელი ახსენეს.

რამდენიმე დღის წინ ჩატარებული მატჩისგან განსხვავებით, ლეიკერსმა დალასს ამჯერად დიდი წინააღმდეგობა გაუწია. კობი ბრაიანტისა და მისი თანაგუნდელების ძალისხმევით კალიფორნიელები მატჩის ბოლომდე არ ტყდებოდნენ, სანამ ფაჩულიამ პირადად არ გადაწყვიტა შეხვედრის ბედი.

თამაშის ბოლო 4 წუთში ქართველმა ცენტრმა 7 ქულა და 4 მოხსნა მიითვალა, რითაც კალიფორნიელები წელში გატეხა. საბოლოოდ დალასელებმა 90:82 იმარჯვეს.

მეორე მატჩია, ფაჩულია ჩაგრავს ლეიკერსელთა გიგანტ როი ჰიბერტს, რომელმაც ამჯერად 30 წუთში 8 ქულა და 9 მოხსნა მიითვალა. რაც შეეხება მატჩის საუკეთესო მოთამაშეს – ზაზა ფაჩულიამ მოედანზე 31 წუთი გაატარა და 18 ქულა, 16 მოხსნა და 2 პასი მოაგროვა. ქართველმა ცენტრმა 7-დან 5 ორქულიანი და 11-დან 8 საჯარიმო ჩააგდო.



დალას მავერიკსმა მეორე მატჩიც გამართა და ტეხასურ დერბიში ჰიუსტონ როკეტსს 110:98 მოუგო.

საქართველოს ნაკრების კაპიტანი სასტარტო ხუთეულში იმყოფებოდა და პარკეტზე 30 წუთი დაყო. ამ დროში ფაჩულია, წინა მატჩისგან განსხვავებით, „მოკრძალებული“ იყო და ორმაგ დუბლამდე 2 მოხსნა დააკლდა – 10 ქულა, 8 მოხსნა, 3 პასი და 1 ჩაჭრა. ზაზამ 6-დან 4 ორქულიანი და 6-დან 2 საჯარიმო სროლა გამოიყენა.

სადღეისოდ კარლაისის შეგირდები 6 მოგებით და 4 წაგებით დასავლეთ კონფერენციაში მეხუთე ადგილზე იმყოფებიან.

17 ნოემბერს ზაზა თავისი თანაგუნდელებით მომდევნო მატჩში გასვლაზე 10-დან ათივე თამაშის წამგებ ფილადელფიას დაუპირისპირდება.

# შედეგები

**ფეხბურთი**

**14 ნოემბერი**

**ეჩ-2016. პლეი ოფი**

უკრაინა-სლოვენია ........ 2:0
შვედეთი-დანია ........ 2:1

**ამხანაგური მატჩი**

რუსეთი-პორტუგალია ........ 1:0

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ალავესი-ხირონა ........ 1:0
ალბასეტე-ტენერიფე ........ 1:2
ლეგანესი-ალკორკონი ........ 3:0
მირანდესი-ბილბაო ბ ........ 3:0
ლუგო-ელჩე ........ 1:1

**იტალია. სერია ბ**

ლივორნო-ვიჩენცა ........ 2:2
მოდენა-პრო ვერჩელი ........ 1:0

**კალათბურთი**

**15 ნოემბერი**

**ნბა. რეგულარული სეზონი**

კლიპერსი-დეტროიტი ........ 101:96
ვაშინგტონი-ორლანდო ........ 108:99
ჰიუსტონი-დალასი ........ 98:110

**ზაზა ფაჩულია: 10 ქულა, 8 მოხსნა**

მილუოკი-კლივლენდი ........ 108:105(ოტ)
სან ანტონიო-ფილადელფია ........ 92:83
ფინიქსი-დენვერი ........ 105:81
გოლდენ სტეიტი-ბრუკლინი ........ 107:99(ოტ)

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# 19 წლამდე ნაკრების გვიანი გამარჯვება

**ალბანეთი – საქართველო 0:1**

**თბილისი. მიხეილ მესხი**

0:1 გოშთელიანი (86)

**ალბანეთი:** სელმანი, კრასნიქი, ჰუმოლი, ტოლი, დოკსანი, ლალაი (კემა 87), დელიუ, გრიპში (ნდრაქში 72), ზენუნი, ლიკოლარი (ჰისენი 79), ჰებაი.

**საქართველო:** გოშაძე, არაბიძე, ნადარია, მამუჩაშვილი, ალთუნაშვილი (ბაშელეიშვილი 46), გვარაძე (ართმელაძე 78), გოშთელიანი, ბიძინაშვილი (კიკნაძე 62), კომახიძე, კაკიაშვილი, პაპუაშვილი

თბილისში მიმდინარე ევროპის 19-წლამდე ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირზე საქართველოს ნაკრებმა მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა. ვასილ მაისურაძის შეგირდები ალბანელ თანატოლებს გაეჯიბრნენ და 86-ე წუთზე გურამ გოშთელიანის მიერ გატანილი გოლის წყალობით 1:0 დაამარცხეს მეტოქე.

პირველი ტაიმი მასპინძელთა ტერიტორიული უპირატესობით წარიმართა. მაისურაძის შეგირდები შეხვედრის მსვლელობას აკონტროლებდნენ, თუმცა საგოლე მომენტებამდე საქმე ძალიან იშვიათად მიდიოდა.

მეორე ტაიმი მაისურაძის შეგირდებმა უფრო აქტიურად ჩაატარეს და რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი შექმნეს, ხოლო დასკვნითი 20 წუთი საქართველოს ნაკრების დიდი უპირატესობით წარიმართა, რამაც შედეგი 86-ე წუთზე გამოიღო. ირაკლი კომახიძის შესანიშნავი გარღვევის და კარგი პასის შემდეგ გოშთელიანს გატანა არ გასჭირვებია.

ჯგუფის მეორე შეხვედრაში ავსტრია უელსს დაუპირისპირდა და 2:0 მოიგო. ჩვენი ბიჭები ჯგუფის ბოლო და გადამწყვეტ შეხვედრას 17 ნოემბერს ავსტრიის წინააღმდეგ გამართავენ.

ავსტრიელებთან საქართველოს ნაკრებს გიორგი არაბიძე ვერ დაეხმარება, რომელმაც უელსთან მატჩის მსგავსად, ალბანელებთანაც მიიღო ყვითელი ბარათი.

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

## სელფი მშობიარე მეუღლის ფონზე



მშობიარე მეუღლის ფონზე გადაღებულმა სელფმა ინტერნეტი დაიპყრო. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ფოტოსურათის ავტორია ამერიკელი გილ სოლანო. მან ფოტოსურათი რედიტის გვერდზე გამოაქვეყნა. სოლანოს თქმით, მის მეუღლეს სურდა, რომ ვინმეს დაეფიქსირებინა მისი და მისი მეუღლის სახეები მშობიარობის მომენტში. ამის გაკეთება გილმა საკუთარ თავზე აიღო.

შედეგად გამოვიდა სელფი, რომელზეც სოლანო იღიმება, ხოლო მისი მეუღლე სარა მშობიარობს და აშკარაა, რომ ტკივილს განიცდის. ამ ფოტომ 1,5 მილიონზე მეტი ნახვა მოაგროვა.

– ეს სურათი იმისთვის გადავიღე, რომ ის მისი ძმებისთვის მეჩვენებინა, რომლებიც გამუდმებით მეკითხებოდნენ, საქმე როგორ მიდიოდა, – განაცხადა სოლანომ. მან ასევე აღნიშნა, რომ სურათი მეუღლესაც აჩვენა იმ მომენტში, როდესაც მცირე ხნით ამოსუნთქვის საშუალება მიეცა, რამაც სარა გააცინა.

– ახლა კი მე მას ვუკითხავ თქვენს კომენტარებს, სანამ ჩვენს ჯანმრთელ გოგონას, რომელიც 3,3 კილოგრამს იწონის, აჭმევს.

## შავკანიანი მოზარდები ეპლის მაღაზიიდან გამოყარეს

ავსტრალიის ქალაქ მელბურნში ექვსი შავკანიანი მოსწავლე ეპლის მაღაზიიდან გამოყარეს. მაღაზიის ერთ-ერთმა თანამშრომელმა ჩათვალა, რომ შესაძლოა მოზარდებს ქურდობა ჩაედინათ და ამიტომ მოსთხოვა, მათ შენობა დაუყოვნებლივ დაეტოვებინათ.



აღნიშნული ინციდენტის შემდეგ ერთ-ერთმა მოსწავლემ ფეისბუქში საკუთარ გვერდზე მომხდარის შესახებ ისაუბრა.

– როდესაც მოვისმინეთ მისი სიტყვები: „ჩვენ ვშიშობთ, რომ რამეს მოიპარავთ“, ეს არა მხოლოდ საწყენი იყო, არამედ შოკში აღმოვჩნდით. ეს რასიზმია. მან შანსიც არ მოგვცა, – დაწერა მოსწავლემ.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მოსწავლეები შეეცადნენ, გაერკვიათ მიზეზი, თუ რით იყო გამოწვეული ასეთი დაეჭვება, მაგრამ არც გამყიდველს და არც დაცვის თანამშრომლებს მათთვის მიზეზი არ განუმარტავთ.

– საუბარი დასრულებულია. მოვითხოვთ, დატოვოთ მაღაზია, – განუცხადეს მოზარდებს.

ამ მომენტისთვის ვიდეორგოლი, რომელშიც ასახულია, თუ როგორ მოსთხოვეს მოსწავლეებს მაღაზიის დატოვება, 72 ათასზე მეტმა ადამიანმა ნახა.

კომპანიის წარმომადგენელმა ამ ფაქტთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ინციდენტის გამოძიება ჩატარდება და რომ კომპანიის თანამშრომლები ადამიანებს არ განასხვავებენ მათი ეროვნების, ასაკის, სქესის, კანის ფერის, ეთნიკური, რელიგიური ან სექსუალური ორიენტაციის მიხედვით.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## საქართველო ალბანეთისთვის ემზადება

საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრები წლის ბოლო მატჩის ჩასატარებლად ქალაქ ტირანაში ემზადება. ალბანეთის დედაქალაქში გუნდი ტალინიდან ჩარტერული რეისით ჩავიდა. პირველი ვარჯიში ტირანაში საფეხბურთო კლუბ ტირანას მოედანზე გამართა, მეორე კი – ტეუტას სტადიონზე.

საწვრთნელ პროცესში 23 ფეხბურთელი მონაწილეობდა. კვიპროსის ომონიას ფეხბურთელი უჩა ლობჟანიძე უკვე გუნდთან ერთადაა და სრული დატვირთვით ვარჯიშობს. იგი ესტონეთთან შეხვედრაშიც გამოძახებული იყო, თუმცა ფეხბურთელმა სანაკრებო ამხანაგურ მატჩამდე ორი დღით ადრე კვიპროსის ჩემპიონატში ითამაშა და, მწვრთნელის გადაწყვეტილებით, ესტონეთთან შეხვედრა გამოტოვა.




ტირანაში მყოფი ყველა ქართველი ფეხბურთელი ჯანმრთელადაა და ალბანეთთან მატჩის მოლოდინშია.

გეტყვით, რომ ალბანეთის ეროვნულმა გუნდმა საქართველოსთან შეხვედრამდე 13 ნოემბერს ამხანაგური თამაში კოსოვოსთან გამართა და შეხვედრა 2:2 დასრულდა.

ესტონეთთან წაგებული მატჩისა და წლის ბოლო ამხანაგური შეხვედრის თემაზე მოკლე კომენტარი გააკეთა სანდრო კობახიძემ:

– ესტონელებთან თამაში ჩავაგდეთ, ყველას გვრცხვენია. ალბათ, მთავარი მიზეზი ის იყო, რომ წავაგეთ ბევრი ორთაბრძოლა, მოწინააღმდეგე გუნდი კი ჩვენზე მეტს მოძრაობდა. ალბანეთი ესტონეთზე უკეთესი გუნდია, მაგრამ, ვფიქრობ, რომ შეგვიძლია შეცდომების გამოსწორება და ალბანეთის დამარცხება.

ალბანეთისა და საქართველოს საფეხბურთო დაპირისპირება დღეს ტირანას ქემალ სტაფას სტადიონზე შედგება.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

## იუმორი



●●●

ერთი ქალი მეორეს უყვება:

– ამ ყველა ვარსკვლავს შენ გჩუქნი, ჩემო საყვარელო! – ვუთხარი და კეფაში ტაფა ვლეწე.

●●●

შვილი დედას ახარებს:

– დეე, კნუტი ვიპოვე.

– სულელო, კაცი ეძებე, კაცი, უკვე 32 წლის ხარ!

●●●

ერთი პარტიის ლიდერი მეორე პარტიის ლიდერს ეუბნება:

– დიდი სიამოვნებით დაგიდგებოდი ინტელექტუალურ დუელში, მაგრამ, როგორც ჩანს, უიარაღო ხარ...

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– ჭამის წინ ლოცულობ?

– არა, ჩემი მეუღლე კარგი მზარეულია.

●●●

რჩევა:

„კამათის დროს სიცილი ანადგურებს ოპონენტის ნერვულ სისტემას!“

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– ჩემი მეუღლე კარატეს შემსწავლელთა ჯგუფში ჩაეწერა.

– მერე?

– ახლა ჩემთვის დიდ ბედნიერებად იქცა ჭურჭლისა და ტანსაცმლის რეცხვა, ოთახების დალაგება, სახლის გამოგვაზე ხომ საერთოდ ჭკუა მეკეტება.

●●●

ბიჭი გოგოს წერილს სწერს:

– შენი თვალები მაგიჟებს, შენი ტუჩები მთიშავს, ხელში აგიყვან, იცოდე და კედელზე მიგათხლიშავ.

●●●

ერთი ქალი მეორეს ეუბნება:

– გაგიგია ასეთი გამოთქმა: „რისიც გეშინია, სწორედ ის დაგემართება...“?

– კი, გამიგია. მერე?

– ჰოდა, რაც ეს გავიგე, მას მერე დასუსტებისა და გამდიდრების მეშინია.

●●●

მესიმ სტადიონზე იმდენი კაცი მოატყუა, რომ საქართველოს ხელისუფლება დეპრესიაში ჩავარდა.

●●●

ერთი ნაცნობი მეორეს ეკითხება:

– გავიგე, შენს ბავშვს ძალიან ადრე დაუწყია ლაპარაკი და ამას როგორ მიაღწიე?

– აბაზანაში ცხელი წყლის ჩასხმით...

●●●

ერთი კაცი მეორეს ეკითხება:

– რა არის შენი ნაკლი?

– ძალიან პირდაპირი ვარ!

– ეგ ნაკლი არ არის!

– შენი აზრი მაგრად მკიდია!!!

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## სკანვორდი



1. ცეცხლის ანადენი; 2. პორტუგალიელი ზღვაოსანი (დაახლ. 1480-1520); 3. გაზაფხულის თვე; 4. უხეიროდ, უხარისხოდ გაკეთებული რამ; 5. მამულიშვილი; 6. მდინარე ჩრდილო ამერიკაში; 7. საიდუმლო პოლიცია ფაშისტური გერმანიაში; 8. შესანახად გახმობილი ხორცი; 9. რეალურად არსებული ნივთი, საგანი; 10. მაუგლის მეგობარი პითონი; 11. სვანების ქალღმერთი; 12. რაიმე დარგში სიახლის შემტანი ადამიანი; 13. ჭადრაკის ფიგურა; 14. საყანედ გაკაფული ტყე; 15. დიდი ბუჩქი; 16. საწვავი სითხე; 17. ბრაზილიელი ზანგების ცეკვა; 18. ფრანგი რევოლუციონერი (XIX); 19. მექსიკელთა ღვთაება, რომელსაც ადამიანს სწირავდნენ; 20. ქალაქი ესტონეთში; 21. მდინარის სადინარი; 22. ჩრდილო კორეის ფულის ერთეული; 23. ვალის გადახდის უნარდაკარგული (ძვ.); 24. სპორტული ნავი; 25. ქალაქის მუნიციპალიტეტი; 26. პროსპერ ...; 27. კაზინო; 28. განმეორებითი გამაფრთხილებელი ჩხვლეტა ფარიკაობაში; 29. ქალაქი რუსეთში; 30. ... კოსტავა; 31. ამერიკის კოსმოსური სააგენტო; 32. მრავალხმიანი საკრავი; 33. ყვავილი; 34. ზღვის დიდი კიბო.

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ჯუღელი; 2. ჯულეპი; 3. დეპარდიე; 4. ემბაზი; 6. კატალოგი; 8. მიანმა; 11. სოლოლაკი; 12. ფალაური; 16. იურტა; 17. ბირჟა; 18. ფერმი.

**თარაზულად:** 1. ჯორჯაძე; 5. პოლკა; 7. რეზიუმე; 9. ეკლესია; 10. ლამარია; 13. მუხიანი; 14. ბოინგი; 15. ვაჩა; 19. კარფური; 20. მიუზიკლი; 21. შარლემანი; 22. პილონი.

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ზაქათალა; 2. რამპა; 3. დეკანატი; 4. იამაჰა; 7. ტესლა; 9. სტეპი; 12. სტეფენსონი; 14. ალმასი; 15. დარბაზი; 17. ჰეზბოლა; 20. სიათა.

**თარაზულად:** 5. საგურამო; 6. გრეგორი; 8. ჰიპოგეა; 10. მასანდრა; 11. ფლინტი; 13. კლიენტი; 16. ვილჰელმი; 18. მედეა; 19. ურანი; 21. მიქსტი; 22. ოზურგეთი; 23. დუბლინი.

## ასტროპროგნოზი
### 16 ნოემბრისათვის



**ვერძი** – ჯანმრთელობის მდგომარეობა არასახარბიელოა. ნერვებს გაუფრთხილდით. ყველა საქმე მშვიდად და აუჩქარებლად აკეთეთ. გელით კონფლიქტი ნათესავებთან და მეგობრებთან. **კურო** – ახალი საქმის დაწყება არ ღირს. მოვლენებს ნუ დააჩქარებთ. აფორიაქებული ხართ. მომავლის გეგმებს ნუ დასახავთ. ეცადეთ, კონფლიქტურ სიტუაციებს გაერიდოთ. **ტყუპები** – მიზნის მიღწევა გაგიჭირდებათ. გრძელვადიანი გეგმებისთვის შეუფერებელი პერიოდია. თქვენი ყველა პრობლემა ფინანსურ დანაკარგებს უკავშირდება. **კირჩხიბი** – გმართებთ სიბრძნე და გულისხმიერება. საკუთარი შეცდომები გააანალიზეთ და გამოასწორეთ. კონფლიქტის მოგვარება მხოლოდ მშვიდი და გულითადი საუბრის შედეგად მოხერხდება. **ლომი** – დღეს უმჯობესია, დაისვენოთ და გაერთოთ. მიზნის მიღწევაში თავქარიანობა და საქმისადმი არასერიოზული დამოკიდებულება შეგიშლით ხელს. **ქალწული** – შეცვალეთ საქმიანობის ფორმა. გჭირდებათ სიახლეები. უფროსობასთან საკუთარი პრინციპები მტკიცედ დაიცავით. **სასწორი** – გარშემომყოფებს მეტი სითბო და სიყვარული უჩვენეთ და თქვენც იმავეს მიიღებთ. ემოციურად დაძაბული დღეა. ბიზნესში აქტიურობა სასიკეთოდ წაგადგებათ. მეგობრების რჩევები ყურად იღეთ. **ღრიანკალი** – გაითვალისწინეთ ჭკვიანი ადამიანის დარიგება. ნუ გარისკავთ. კომერციული საქმიანობა და ბიზნესმოლაპარაკებები რეკომენდებული არ არის. **მშვილდოსანი** – აქტიური დასვენების დროა. კარგი პერიოდია ასევე სამოგზაუროდ, ქალაქგარეთ გასასვლელად. თქვენი მომხიბვლელობა ზენიტშია. დღეს შეგიძლიათ, თამამად განახორციელოთ ახალი იდეები. **თხის რქა** – იყავით მიმტევებელი, დამთმობი, აუცილებლად შეურიგდით ადამიანებს, რომლებთანაც კონფლიქტი გაქვთ. მეტი დრო დაუთმეთ მეგობრებთან ურთიერთობას. **მერწყული** – კეთილისმყოფელი და მშვიდი დღეა. მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებაში ახლობლები დაგეხმარებიან. თავს ნუ გადაიტვირთავთ, აკეთეთ ის, რაც გსიამოვნებთ. **თევზები** – დაეხმარეთ ადამიანებს, იყავით ქველმოქმედი, ეცადეთ, კონფლიქტურ სიტუაციებს გაერიდოთ. დღის მეორე ნახევარში საპირისპირო სქესთან ურთიერთობა კეთილისმყოფელი იქნება. **გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

**ჩვენს საყვარელ**

**თამთა ჭელიძეს**

ვულოცავთ დაბადების დღეს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას, დიდ სიხარულს, დიდხანს სიცოცხლეს, უფლის წყალობას თავის საყვარელ ადამიანებთან ერთად.

**ჟუჟუნა ბებო, გიგი ბაბუა (პაპა)**

# თბილისის საოპერო დასი: „შეზღუდული ვართ!“

მაშინ, როდესაც სრულიად საქართველო მოუთმენლად ელოდება, როდის გაიხსნება ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი, საოპერო დასი დახმარებას ითხოვს და იმ შეზღუდვებზე საუბრობს, რომლებიც მათ აქვთ.



განახლებული თეატრის შენობა მომავალი წლის იანვარში გაიხსნება, საოპერო დასის წევრები კი შეხვედრებს მართავენ პროფკავშირების წარმომადგენლებთან და ნორმალურ სამუშაო პირობებს ითხოვენ.

ხმაურიან შეხვედრას საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების სხდომათა დარბაზში თეატრის პროფკავშირის 75-მდე წარმომადგენელი ესწრებოდა. მათ დეტალურად განიხილეს საქართველოს შრომის კოდექსში შეტანილი ცვლილებები, ისაუბრეს თეატრის შინაგანაწესის ცვლილებებზე, შრომის ხელშეკრულებებში შეტანილ ცვლილებებზე, შრომის უსაფრთხოების დაცვასა და ხელშეკრულების დროულად შეთანხმებაზე.

**კახაბერ თეთვაძე, პროფკომიტეტის თავმჯდომარე, ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტი:**

– რემონტის შემდეგ სამუშაო ოთახები არ აქვთ სოლისტებს, ფეხსაცმელი და ტანსაცმელი სარდაფშია. მძიმე სამუშაო პირობები აქვთ ტექპერსონალს, გუნდისა და ორკესტრის თანამშრომლებს. ტექნიკური ზედამხედველობის ინსპექცია აღშფოთებული დარჩა ნანახით და დასკვნაც შესაბამისი იქნება. თეატრში მიუწვდომელია სამხატვრო საბჭოს დებულება. რის მიხედვით ხელმძღვანელობს ადმინისტრაცია, არ ვიცით. იმის ნაცვლად, რომ შემოქმედებით მშვიდი ცხოვრება შეიქმნას, არის დაძაბული გარემო. საგრიმიოროები, ორკესტრის ოთახები, ჩამცმელები არიან სარდაფში და ასე არ შეიძლება. სცენა მესამე სართულზეა, არ მუშაობს ვენტილაცია.

**ელდარ გეწაძე, ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტი:**

– კარგი სამუშაო პირობები აქვს შექმნილი მხოლოდ ბალეტის დასს. დამლაგებლებს აქვთ დასასვენებელი ოთახი, ცალკე აქვთ სტუმრების მისაღები ოთახი, საოპერო დასი კი ყველანაირად შეიზღუდა.

# რობერტ სტურუა: „გადავრჩებით?“

რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი და რეჟისორი რობერტ სტურუა მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებს ეხმაურება. პარიზის ტერაქტით შეშფოთებული მაესტრო სვამს კითხვას, რომელიც დღეს ადამიანებს მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში აღელვებს.



**რობერტ სტურუა:**

– არ ვიცი, რატომ, მაგრამ გუშინ ვკითხე ერთ ცნობილ კრიტიკოსს და საღამოს ერთ კეთილშობილ ქართველს, დამეთანხმებით, გაჭირდა ასეთის მოძებნა, გავუმეორე ჩემი შეკითხვა: ომი თუ ელის კაცობრიობას-მეთქი?

არა, – მიპასუხა ორივემ.

და აი, ომი პარიზში.

დიახ, ომია.

და არავინ იცის, როგორ შეაჩეროს ეს ვერაგობა.

არავინ.

ამ დროს კი სადღაც ცაფირუზხმელეთზურმუხტოვან სამშობლოში თაგუნების პარტიები ერთმანეთს ებრძვიან, ლამის დაღრღნან ერთმანეთი.

ვერც გაგელიმება.

გადავრჩებით კი?

# პანტომიმის თეატრში სცენა ჩაინგრა



ისედაც ურთულეს მდგომარეობაში მყოფი პანტომიმის თეატრი კიდევ უფრო რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. თეატრში სპექტაკლის დროს სცენა ჩაინგრა. საბედნიეროდ, არავინ დაშავებულა.

ინფორმაცია ამის შესახებ ამირან შალიკაშვილმა-უმცროსმა გაავრცელა:

– გუშინ სპექტაკლის დროს სცენა ჩავარდა. მე მეგონა, სცენა მაინც გვქონდა ნორმალური. თურმე ეგეც არ გვქონია!

ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც პანტომიმის თეატრის დასი ურთულეს პირობებში მუშაობის შედეგს იმკის. თეატრს კარგად ახსოვს შემთხვევები, როცა მაყურებელს პარტერში სკამი ჩაუტყდა, როცა წვიმის შემდეგ თეატრში წყალი ჩავიდა, როცა თეატრი გაქურდეს, როცა... და ეს როცა არ ილევა.

პანტომიმის თეატრი მართლაც ურთულეს პირობებში მუშაობს. ასეთი ვითარების მიუხედავად, თეატრის დასი გაჩერებას არ აპირებს და მაყურებელს სპექტაკლებთან ერთად პრემიერებსაც სთავაზობს.

თეატრს მერიის მიერ უკვე გამოყოფილი აქვს ტერიტორია ახალი თეატრის ასაშენებლად, მაგრამ, როდის დაიწყება მშენებლობა, ჯერჯერობით უცნობია. ტერიტორია, რომელშიც ახლა პანტომიმის თეატრი მდებარეობს, კერძო ინვესტორის საკუთრებაა. ის საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა სიმბოლურ ფასად, 1 ლარად გაყიდა ისე, რომ პანტომიმის თეატრის წარმომადგენლობამ ამის შესახებ არაფერი იცოდა.

# კოტე თოლორდავას ფილმის პრემიერა „ამირანში“ გაიმართა

მოზარდ მაყურებელთა თეატრის მსახიობ კოტე თოლორდავას მონაწილეობით გადაღებული ფილმის პრემიერა კინოთეატრ „ამირანში“ გაიმართა.



35 წლის ასაკში გარდაცვლილი მსახიობის ნამუშევარი მისმა მეგობრებმა, კოლეგებმა და ოჯახის წევრებმა დახურულ ჩვენებაზე ნახეს.

– კოტეს პრემიერა... კოტეს გარეშე..., – მხოლოდ ამის თქმა მოახერხა მსახიობის მეუღლემ განო მელითაურმა.

ფილმს „ანა ბანა“ ეწოდება და მასში კოტე თოლორდავასთან ერთად ცნობილი მსახიობები მონაწილეობენ. ეს იყო კოტე თოლორდავასთვის პირველი სრულმეტრაჟიანი ფილმი, რომელშიც გია ბურჯანაძე, ბიძინა მახარაძე, ლია კაპანაძე, დავით დარჩია, ნოდარ ხუციშვილი, ვანო გალუაშვილი, მარგარიტა კორჩაგინა, გიორგი გურგენიძე, რამონა მიქელაძე თამაშობენ.

ფილმის რეჟისორი ედუარდ ოგანესიანია, პროდიუსერი კი – ანასტასია ახვლედიანი.

ფილმის გადაღებები 4 წლის წინ საქართველოში მიმდინარეობდა.

„ანა ბანას“ პრემიერა 2012 წელს მოსკოვის საერთაშორისო კინოფესტივალზე შედგა, თბილისში კი მისი ჩვენება პირველად გაიმართა. ნახავს თუ არა კოტე თოლორდავას კიდევ ერთ ნამუშევარს ქართველი მაყურებელი, ამ ეტაპზე უცნობია.

# ნინო ბაშარული ტელეწამყვანი გახდა

მომღერალი ნინო ბაშარული, რომელიც ფართო საზოგადოებამ სხვადასხვა მუსიკალური პროექტით გაიცნო, ტელეწამყვანი გახდა.

ნინო ამბობს, რომ სიახლეებს არასოდეს უშინდება და ყოველთვის მზად არის, თავისი ერთგული მსმენელი სიახლეებითა და სიურპრიზებით გააოცოს.

**ნინო ბაშარული:**

– საზოგადოებრივ მაუწყებელზე ყოველ შაბათს, 17:30 სთ...

ჩვენ ერთად უნდა ავაღორძინოთ სოფელი!

ჩვენ უნდა გავაძლიეროთ ჩვენი ქვეყანა!

ჩვენ უნდა ვიკვებოთ ნატურალური საკვებით!

ჩვენ უნდა ვიყოთ ლამაზები, ჯანმრთელები და უნდა ვიცოცხლოთ დიდხანს!

ამისათვის საჭიროა, უყუროთ გადაცემა „ფერმას“, რომლის წამყვანიც ვიქნები მე, ნინო ბაშარული.



ჩვენ საქართველოს ყველა კუთხეში მოგვიწევს ჩასვლა და შემდგარი და დამწყები ფერმერების სოფლის მეურნეობას გავაცნობ მაყურებელს, რომელსაც სურვილი აქვს ან, თუ არა აქვს, გავუჩენთ ამ სურვილს, რომ დაუბრუნდეს სოფელს ან შეიძინოს ნაკვეთი და შექმნას საკუთარი მეურნეობა.

# გალაკტიონის „მერი“ 100 წლისაა



გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებიდან ერთ-ერთი გამორჩეული ლექსი „მერი“ 100 წლისაა. საიუბილეო თარიღი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში 18 ნოემბერს სპეციალური საღამოთი აღინიშნება, რომელშიც ქართული კულტურის წარმომადგენლები მიიღებენ მონაწილეობას.

თსუ-ის პირველი კორპუსის სააქტო დარბაზში შეკრებილები გალაკტიონის საიუბილეო საღამოს მიუძღვნიან მისი ლექსის „მერის“ პუბლიკაციის 100 წლისთავს.

ამ საღამოს ინიციატორი და ორგანიზატორია თსუ დასავლეთევროპული ფილოლოგიის ინსტიტუტის თარგმანმცოდნეობის კათედრის ხელმძღვანელი, პროფესორი ინესა მერაბიშვილი, რომელიც წარმოადგენს ლექს „მერის“ შექმნის ამბავს, როგორც მისი მრავალწლიანი კვლევის შედეგს.

ღონისძიებას დაესწრებიან გალაკტიონის შვილობილი, ქალბატონი ნუნუ ებანოიძე და მერი შერვაშიძის ნათესავი, ქალბატონი თათული ღვინიაშვილი. გალაკტიონის ამ თემასთან დაკავშირებულ ნაწარმოებებს შეასრულებენ ცნობილი მუსიკოსები ნესტან მესხი, ზვიად ბოლქვაძე, ვალერიან შიუკაშვილი, დავით არჩვაძე, ოთარ ჯორჯიკია, ანა ჭანია.

საღამოზე წარმოდგენილი იქნება საილუსტრაციო მასალა, საინტერესო ფოტოები და გაიმართება ვიდეოჩვენება.

# თათია კობალაძე უკრაინულ „იქს ფაქტორს“ გამოეთიშა

ბესო ნემსაძის შემდეგ უკრაინული „იქს ფაქტორის“ პირდაპირი ეთერი წარუმატებელი თათია კობალაძისთვის აღმოჩნდა. ორი შვილის დედა და 22 წლის მომღერალი ჟიურის წევრებმა სახლში გაუშვეს, ამის მიზეზად კი ის დაასახელეს, რომ მას მუდმივი მიჯაჭვულობა აქვს ოჯახთან და უჭირს სცენაზე კონცენტრირება, ამიტომ ყველაზე კარგია, თუ თათია თავის ქმარ-შვილთან იქნება და კიდევ სხვა მუსიკალურ პროექტებში ცდის ბედს.



თათია კობალაძესთან ერთად აუტსაიდერები აღმოჩნდნენ ქართველი გოგონები ჯგუფ „სპარკლიდან“. ეს ჯგუფი ქართველმა მსმენელმა „იქს ფაქტორიდან“ გაიცნო. გოგონების ტრიო სოფო ტოროშელიძის გუნდში აღმოჩნდა და ფინალისტიც გახდა.

გოგონებს უკრაინულ „იქს ფაქტორშიც“ გაუმართლათ. აუტსაიდერებში მყოფ ქართველებს შორის საბოლოო არჩევანი ჟიურიმ გააკეთა. თათია კობალაძეს ხმა მხოლოდ მისმა მწვრთნელმა ნიო ქათამაძემ მისცა, ჟიურის დანარჩენმა წევრებმა კი მომავალ ტურებში „სპარკლის“ გოგონების ხილვა ისურვეს.

როგორც უკრაინული „იქს ფაქტორის“ წამყვანმა დააანონსა, მომავალ ტურში პროექტში დარჩენილი კონკურსანტები სიმღერებს ორკესტრის თანხლებით შეასრულებენ.

# ქართველმა მწერალმა 8.000 ევრო მოიგო

გერმანიის სალიტერატურო სფეროში ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული, ცნობილი მწერლის, ანა ზეგერსის, სახელობის პრემია ქართველმა მწერალმა მოიგო.



დრამატურგმა, პროზაიკოსმა და რეჟისორმა ნინო ხარატიშვილმა გერმანიის ხელოვნებაში არსებული უმაღლესი ლიტერატურული პრემია თავისი საინტერესო შემოქმედებისთვის მიიღო. ინფორმაციას გერმანული გამოცემა ავრცელებს.

ამჟამად 32 წლის ნინო ხარატიშვილი გერმანიის ქალაქ ჰამბურგში ცხოვრობს და გერმანიის, შვეიცარიისა და ავსტრიის თეატრებში მუშაობს. მისი პიესები წარმატებით იდგმება ვენაში, მოსკოვში, ვისბადენში, ბერლინში, ჰამბურგში, თბილისში, ბრუხზალში, გიოტინგენში, ზაარბრიუკენში.

ნინოს გამოცემული აქვს რამდენიმე წიგნი, ავტორია არაერთი პიესისა. მის პიესებს დგამენ გერმანიის ქალაქების თეატრებში. ნინო ხარატიშვილის პიესების მიხედვით დადგმული სპექტაკლები მონაწილეობს სხვადასხვა საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალში.

დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი 19 ნოემბერს ბერლინში, ხელოვნების აკადემიაში გაიმართება. ნინო ხარატიშვილი წარმატებული და ნაყოფიერი მოღვაწეობისთვის 8.000 ევროს მიიღებს.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

# სამგლოვიარო განცხადებები

ზიზი, ლიანა, მარინა, ლევან გიორგობიანები, შოთა, გია, ქეთინო, თამრიკო გამყრელიძეები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ მათთვის უახლოესი ადამიანის, კეთილშობილი და ღირსეული პიროვნების

**გიგა მაჭავარიანის**

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# TV პროგრამა

ორშაბათი 16 ნოემბერი

07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 19.00, 20.00, 01.00 "მოამბე" 07.05, 09.10 "დილა" 10.10 "პირადი ექიმი" – მარი მალაზონია 11.00 ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" 12.30 "კომუნიკატორი" 13.30 დ/ფ "დიდებული სასახლეები" 14.05 მხ/ფ "**ტყუპები**" 16.45 "ეკონომეტრი" 17.00 ტ/სერ. "**დომბე და ვაჟი**" 18.05 "სიტყვების თამაში" 18.30, 19.01 თოქ–შოუ "რეალური სივრცე" 19.30 "ტელებლოგი" 20.30 "მთავარი თამარ ჩიქოვანთან ერთად" 21.00 ტ/სერ. "**ბანქოს სახლი**" 22.00 "სპორტი გიორგი ზურაბიშვილთან ერთად" 00.00 "კომუნიკატორი" 01.10 მხ/ფ "**არ ვარ რაპაპორტი**"

08.00 დოკ/ფ "ჩემი პატარა საწარმო – მიკროკრედიტი ევროპაში" 09.00 მხ/ფ "**ჯონი ინგლიში**" 10.30 დოკ/ფ "ვენეცია" 11.00 ქართ. მხ/ფ "**ვალსი პეჩორაზე**" 12.45 დოკ/ფ "ავსტრალია" 13.10 დოკ/ფ "ააშენე უფრო დიდი" 14.00 "ეპიცენტრი" 15.00, 18.00, 21.00, 22.30, 23.30 "ბრიფინგის დრო" 16.00 "ლოს ანჯელესის პოლიცია" 17.00 "პოლიტალტერნატივა" 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 20.00 "მოამბე" (5 ენაზე) 21.30 "გამომძიებელი რეპორტიორი" 23.00 "ნამდვილი დრო"

06.00 სერ. "**რობინ ჰუდის თავგადასავალი**" 07.00 სერ. "**კარმა**" 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.40 ქრონიკა 07.35, 08.10, 08.35, 09.15 იმედის დილა 10.05 სერ."**გზაჯვარედინი**" 11.20 სერ. "**დიდი სახლის პატარა დიასახლისი**" 12.30 დღის შოუ 14.40, 15.55 სერ. "**ორი ბედი**" 17.35 სერ. "**დაკარგული წლები**" 18.45, 19.03 სერ. "**პატარძალი**" 20.55 სერ. "**ნამსხვრევები**" 22.00, 23.00 სერ. "**შუა ქალაქში - 10**" 00.00 მხ/ფ "**ბაზა**" (ჯ.ტრავოლტა) 01.50 მხ/ფ "**პატრული**" (მ.პენია)

07.00, 15.40 სერ. "**ლამაზი სიზმარი**" 07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.15 სერ. "**დინასტია**" 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 16.55 სერ. "**მოჯადოებულები**" 18.55 სერ. "**სტამბოლის ცა**" 19.55 სერ. "**ქარადაი**" 22.00 ნიჭიერი 01.00, 03.30 მხ/ფ. 03.00 კურიერი. დაიჯესტი

06.10 მუს.პაუზა 06.15 ივერიის ეკლესია 06.35 პატერიკი "ვინ არის სამყაროს შემოქმედი" 06.45 ქართული ალბომი 07.10 დ/ფ "საქართველოს ისტორია ლაშა-გიორგი" 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.25 მუს. პაუზა 08.30 "განთიადი" 10.10 პატრიარქის ქადაგება 10.40 საკვირაო სახარების განმარტება 10.50 კვირიაკე 12.05 მხ/ფ "**აქედანა და შენამდე**" 13.30 "შუადღე ერთსულოვნებაზე" 14.30 დეკორატიული ფლორა "ვალერიანი-ბალზამინა" 15.00 საეკლესიო კალენდარი 15.20 ქართული ანიმაციური ფილმი 15.35 ბავშვები მუზეუმში 15.50 სპექტაკლი "**რკინის ბიჭები**" 16.40 დ/ფ "დები ტრევისის საოცარი სახლი" 17.10 კონცერტი 18.05 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 18.50 ისტორიის დღიური 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 19.20 მხ/ფ "**ფესვები**" 20.40 ძილი ნებისა "ტომი და ჯერი" 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.25 პატერიკი- წმინდა იოანე მოწყალე 21.35 საეკლესიო აღმშენებლობა 22.25 საქართველოს ქალაქები-მარტვილი 22.45 საქართველოს სამართლის ისტორია 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 საუბარი მოძღვართან 23.30 დ/ფ 00.25 საუკუნის პორტრეტები-"ეროსი მანჯგალაძე" 01.00 "შუადღე"ერთსულოვნებაზე

მაესტრო 7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 0.00 "კონტაქტი" 7.30 ანიმაცია "დრაკონებზე მონადირენი" (ჟესტიკულაციით) 7.55 გადაცემა "საქმიანი დილა" 10.05 **სერიალი "სხვისი სხეული"** 11.05 **სერიალი "ქუზეი და გუნეი"** 12.00 "კონტაქტი თორმეტზე" 12.30, 18.30, 0.30 გადაცემა "ბიზნეს კონტაქტი" 13.30, 14.05 **სერიალი "დაკარგული დრო"** 15.00 "კონტაქტი სამზე" 15.30 სამედიცინო გადაცემა "პულსი" 16.05 **სერიალი "ტატიანა"** 17.00 "კონტაქტი" 17.05 **სერიალი "სიყვარულის იმპერია"** 18.00 "კონტაქტი ექვსზე" 19.05 **სერიალი "ნადირობა"** 20.00 "კონტაქტი რვაზე" 20.45 **სერიალი "ბანდიტების დედოფალი"** 21.30 თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" 23.00 **სერიალი "ფერფლი"** 1.30 **სერიალი "ტატიანა"** 2.15 **სერიალი "სიყვარულის იმპერია"**

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით


დექსალგინი®
დექსკეტოპროფენ ტრომეტამოლი 25მგ
საშეტი
...დაამარცხე ტკივილი!
Дексалгин® Сашет
25 мг гранулы для приготовления раствора для приема внутрь
Декскетопрофен как декскетопрофена трометамол
BERLIN-CHEMIE MENARINI
რეცეპტის გარეშე
BERLIN-CHEMIE MENARINI
თბილისი 0160, გამრეკელის 19;
ტელ: 224 13 70/71/72; ფაქსი: 224 12 10;
ელ.ფოსტა: geobc@wanex.net
GE_DEX-04.2014_v1_Poster
გამოყენებამდე გაეცანით ინსტრუქციას. გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს